...-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, ... кн. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 199 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 199



...ლი დამწუხრებული დედა ასინეთი ნიკოლაიშვილის ასული მშვიდობა-...მმა სოკრატი გიგოს ძე მშვიდობაძე, დები: მარია მშვიდობაძის ასუ-...დუმბაძისა და ლეონიდა (პატკ...ლია) მშვიდობაძის ასული, სიძე—ვასო ...ომეს ძე დუმბაძე, ბიცოლები: ელისაბედ გირკელიძის ასული მშვიდო-...სა და ნატალია ნიკოლაიშვილისა, ბებია ელისაბედ ჩიჩუას ასული ნი-...აიშვილისა, ბიძები: ფილიპე და ავქსენტი ივანეს ძენი ნიკოლაიშვილე-...დეიდა მარია (მაგდანე) ნიკოლაიშვილის ასული აბაშვილისა გულითა-...მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს, რომ 10 სექტემ-... (ახალი სტ.) ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა სახალხო სკოლის მასწავლებელი

...ლერია (კალიოფა) გიგოს ასული მშვიდობაძე

(2—2)

...ანე გრიგოლის ასული, ვერა პაპუნას ასული და ალექსანდრე დიმი-...ის ძე წერეთლები გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას პირველნი ძვირფასის სიძის ხოლო მეორე საყვარელი ქვისლის

ლევან კონსტანტინეს ძის აბაშიძის

ტრაგიკულათ დაღუპვას.

...უხარებით გულ მოკლული შვილი არშაკ სიმონის ძე, რძალი—სათენიკა, ...ლისშვილები: ზაალ, მარიამ და რუზანი დივანოვები ულრმესი მწუხარე-...თ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი დედის, მეორე—სიდედრის, ხოლო დანარჩენნი საყვარელ ბებიის

ოვსან პოღოსის ასულის დივანოვის

...რდაცვალებას, რომელიც მოხდა დ. საგარეჯოში, მიცვალებული გამო-...ნებულ იქმნა ქ. თფილისში კვირას 15 სექტემბერს. პანაშვიდი დღეს ... სექტემბერს საღამოს 7 საათზე (აკიმოვის ქ. № 9) მიცვალებულს გა-...ასვენებენ ზემოთ აღნიშნულ ბინიდან 19 სექტემბერს დილის 10 საათზე; ...ასვენებენ მოღნინის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხო-...ვანქის სასაფლაოზე. ვსთხოვთ ნაცნობ და ნათესავთ პატივი სცენ მიცვალებულის ხსოვნას თავისი დასწრებით. (1—1)

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის და თეატრის

5.000.000 მანეთის

ლატარიის ბილეთები.

ბილეთი ღირს 25 მანეთი.

პირველი მოგება

100.000 მანეთია.

ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია. (60—3)


## ...მოკრატიული წყობილების დაცვა

...ოლიუცია ეს პოლიტიკურ უფლება ...ებულ ხალხის მიერ უფლების მო-...ბა. ამ უფლების განმტკიცებას ემ-...ება რევოლიუციონური კლასი და ...ელმძღვანელი პარტია.

...რთაშორისო დემოკრატიას ამ ნი-...ე მეცხრამეტე საუკუნის განმავ-...ში არა ერთი და ორი რევოლიუ-...ოუხდენია, არა ერთხელ და ორ-...ალა-უფლება ხელში ჩაუგდია, მაგ ...ას ეს პოლიტიკური უფლება სა-...ოთ არ შერჩენია, რეაქციონური ...ების წყალობით. რევოლიუციას ...ი დიდი რეაქცია მოჰყოლია და ...ებული თავისუფლება მიწასთან ...ორებია.

...ოლიუციის მოსახდენად კი არა, ...და ვილჰელმ ლიბკნეხტი, არამედ ...ოლიუციის მიერ მოპოვებულ თავი-...ების შენარჩუნება შეადგენს რე-...უციონურ კლასის უმთავრეს მო-...ობას. აქეთკენ უნდა იყოს მიმარ-... დემოკრატიის მთელი ძალა ორ-...აცია.

...ვოლიუციის ისტორიას არ ახსოვს ...ერთი რევოლიუცია, როცა მას ...-რევოლიუცია არ მოყოლოდეს, ...პრივილეგიური კლასები კვლავ არ ...ილიყვნენ ხალხისათვის თავისუფლე-... წაერთმიათ და ძველი წყობილე-...აღდგენა არ განეზრახათ. ამ ნია-...ი იწყება სამოქალაქო ომი, ამ ნი-...ე ჩაღდება რევოლიუციონერებსა ...ონტრ-რევოლიუციონერთა შორის ...ერო-სასიცოცხლო ბრძოლა.

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ომს რეაქციონერი კლასები იწყებენ. რევოლიუციონური დემოკ. მხოლოდ მათ მიერ მოტანილ იერიშებს იგერიებს. ბლანკი და ბლანკისტები უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს ანგარიშს არ უწევდენ. მათ პატარა ჯგუფს მეოხებით უნდათ სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა, სოციალისტური წყობილების განმტკიცება. პატარა ჯგუფი და რიცხვით მცირე კლასი ცდილობდა თავისი უტოპიური იდეია უმრავლესობისათვის თავზე მოეხვია.

მიუხედავათ ამისა, თვით ბლანკი, აცხადებდა, რომ იგი არ არის სამოქალაქო ომის დაწყების მომხრე, იგი იძულებულა გახდა რეაქციონერების მიერ დაწყებულ კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ ებრძოლა. ერთი სიტყვით, ბლანკი საქვეყნოთ აღიარებდა, რომ სამოქალაქო ომი კონტრ რევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ დაიწყო და იგი იძულებული გახდა ბრძოლა მიეღო.

ჩვენში, დამოუკიდებელ საქართველოს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დემოკრატიული წყობილება დამყარდა და ხალხის უმრავლესობა მისი დამცველ-მფარველია.

უფლება მოკლებულმა ხალხმა უფლება ხელში ჩაიგდო, შექმნა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ორგანო, დემოკრატიული საზოგადოებრივი დაწესებულებანი და დროს და გარემოების მიხედვით ცდილობს დემოკრატიული რეფორმები და წყობილება განამტკიცოს.

დემოკრატია, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენს ამ წყობილების წინააღმდეგი არ არის, ის მის წინააღმდეგ მასიურ გამოსვლებს არ ახდენს.

მართალია, საქართველოს კონტრ რევოლიუციონური კლასები სულით და გულით წინააღმდეგები არიან არსებული წყობილების, მაგრამ მათ არ შესწევთ იმდენი ძალა—ორგანიზაცია, რომ აშკარა მოქმედება დაიწყონ და ჩვენ რესპუბლიკას სერიოზული ვნება მიაყენონ. ამ შემთხვევაში შეგნებული დემოკრატია ძლიერია, მათ კლასობრივ წინააღმდეგობას ახშობს, გასაქანს არ აძლევს.

სამაგიეროთ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მედგრათ მოქმედებენ სხვადასხვა „სოციალისტური“ მიმდინარეობის პარტიები და ისინი დემოკრატიულ წყობილებას ყოველმხრივ ემუქრებიან.

უკანასკნელი ტიპის მიმდინარეობა და მათი ხელმძღვანელი ყოველ საშუალებას ხმარობს არსებული დემოკრატიული წყობილება დაანგრიოს; ისინი სხვადასხვა მაცდური ლოზუნგების მეოხებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ამბოხებას აწყობენ, სამოქალაქო ომს იწვევენ და ამ გზით უნდათ დაანგრიონ ჩვენი დემოკრატიული წყობილება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ჩვენი წყობილების იდეურ გამართლებას, იგი შეურყეველი ფაქტია და მის მოსარჩლეთ გამოდის ხალხის უმრავლესობა. მაგრამ ვიმეორებთ, არსებულ წყობილებას დაუძინებელი მტრები გაუჩნდნენ, მის მეთაურათ ცრუ სოციალისტები გამოდიან.

ესენი ყველგან ხელოვნურ ამბოხებას ახდენენ, სხვადასხვა კუთხეებში უკმაყოფილო ელემენტებს თავს უყრიან, დემოკრატიულ მთავრობის და მის ორგანოების წინააღმდეგ ამხედრებენ და მით აჩაღებენ სამოქალაქო ომს. მთავრობა და დემოკრატია იძულებული ხდება მოტანილი იერიშები მოიგერიოს, არსებული წყობილება უზრუნველყოს, სამოქალაქო ომს აჩაღებენ, ანარქიას აძლიერებენ და ასეთი ბრძოლის საშუალებით ცდილობენ დაგვანგრიონ.

მაგრამ ამ ჯურის „რევოლიუციონერებს“ შეგნებული დემოკრატია არაფერს დაუთმობს და ნურას უკაცრავათ, თუ მათ მიერ მოტანილ იერიშებს მედგრათ მოიგერიებს. აქ მოგერიება და რეპრესია,—კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ დროს შესაფერ საშუალებათ მიაჩნია და არავის წინაშე იგი ბოდიშს არ მოიხდის.

შეგნებული დემოკრატია თავგანწირულად დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, ხალხი დემოკრატიულ წყობილებას და მტრებს არ გაახარებს. მოწინააღმდეგე, როგორ სამოსელშიაც არ უნდა გამოდიოდეს, როგორც გინდა ლოზუნგებს არ ეფარებოდეს, მათდამი ნდობა არ გვექნება.

ჩვენ კარგად ვიცით მათი ფასი და სულისკვეთება. დღეს იმათ სოციალისტების ნიღაბი ჩამოუფარებიათ. სხვადასხვა სოციალისტური პარტიების სამოსელში გახვეულან და ქვეყანას არწმუნებენ, რომ ისინი დემოკრატიის საქმეს აკეთებენ. მაგრამ ამათ. ისინი თავიანთ მოქმედებით ჩვენს თავისუფლებას ძირს უთხრიან, დემოკრატიულ წყობილებას ანგრევენ და ასამარებენ. ასეთი ჯურის „სოციალისტები“ ხალხის მტრები არიან და მათ თვით ხალხი და მისი მოსარჩლეები შესაფერ პასუხს გასცემენ.

## საქართველოს დამოუკიდებლობა

ამ დღეებში მოსულ რუსულ გაზეთებში ცნობაა, რომ გერმანიასა და რუსეთის საბჭოთა მთავრობის შორის მოლაპარაკებაში საბჭოთა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, როგორც ეროვნული სახელმწიფოსი.

თავის-თავათ ეს ლოღიკური დასკვნის გაკეთებაა იმ პრინციპიდან, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აღიარებდა სიტყვით, მარა არ ახორციელებდა საქმით.

პირ-იქით რაც ძალი და ღონე ჰქონდა ებრძოდა მას. ებრძოდა იგი საქართველოსაც, და მისი მთავრობის და გაბატონებულ პარტიის წინააღმდეგ გაბოროტებულ აგიტაციას ეწეოდა, თავს ესხმოდა, ამბოხებებს აწყობდა, სადაც კი შეეძლო, იმ მილიონების საშვალებით, რომელნიც ასე განუკითხავათ ბეჭდავენ ამ ჟამათ რუსეთში.

მაგრამ ბრძოლით ვერას გახდა, საქართველოს დემოკრატია ვერ დააყენა იმ გზაზე, რომელზედაც თვით დგას საქართველოს მუშათა კლასი იმ თავით ვე დაადგა დემოკრატიულ რესპუბლიკანურ მუშაობის ხაზს და მას არ ჩამოშორდება.

ბოლშევიკები ამ დემოკრატიის აზრს, დარწმუნებული ვართ, მაინც არ გაუწევდენ ანგარიშს. მათი სიტყვა სხვაა საქმე სხვაა.

მხოლოდ გერმანიასთან მოლაპარაკებამ და იქნება ძალდატანებამაც აიძულა იგინი ეს აქტი დამოუკიდებლობისა ეცნო.

ამ რიგათ მათ დემოკრატიზმს უღალატეს, ხალხის სურვილს ყურადღება არ მიაქციეს, ხალხის ნება არათ ჩააგდეს, ხოლო გერმანიის დიპლომატებს კი დაუთმეს.

ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ ცნობის მნიშვნელობის გარკვევას. ეს ცალკე წერილს მოითხოვს. აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ გარეგნულად ცნობის მიხედვათ, არსებითათ ბალშევიკები მაინც არ დაიშლიან თავის დაუღალავ მუშაობის წარმოებას და საქართველოს დემოკრატიის ძირის გამოთხრას. მათ დაპირებას და აღიარებას ახლაც არ შეგვიძლია მივცეთ ისეთი მნიშვნელობა, როგორიც უნდა ჰქონდეს დემოკრატიის სიტყვას. ისინი ყოველთვის იპოვნიან მიზეზს, რომ თავის დადებულ პირობას გვერდი აუხვიონ, თუ კი ეს შინაურ ომს, სამოქალაქო არევდარევის სფეროს შეეხება. ამ მხრივ ისინი მზათ არიან სისხლი არ დაზოგონ და ადამიანის სიცოცხლე არათ მიიჩნიონ.

ჩვენ ვამბობთ, ბალშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, მაგრამ არ შეუძლია გვიხსნას თვით ბალშევიკების მუხანათურ მოქმედებისაგან, თუ მათ ამის საშვალება მიეცათ. მათ შესახებ დღესაც ისე ფრთხილად უნდა ვიყვეთ, როგორც აქამდე. მათი სიტყვა ახლაც ისე უნდა ვიწამოთ, როგორც სიტყვა, რომელსაც ისინი დაარღვევენ ისე, რომ არც კი გაწითლდებიან.

მაგრამ საინტერესოა ის, რომ ამ საგანში მათ ბევრი ბალშევიზმის მოწინააღმდეგენიც ემხრობიან ყველა ეს ვითომდა დემოკრატები სხვადასხვა სოციალისტურ ქურქებში გახვეულნი, ახლაც თავის სისინს ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ არ მოიშლიან.

დემოკრატია საქართველოსი ამიტომ ფრთხილად უნდა სდარაჯობდეს თავის თავისუფლებას. ჩვენ შევირჩენთ იმას, რასაც ჩვენი ძალა და გამჭრიახობა გაუძლებს.

## რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა

15 სექტემბერს გაიხსნა პირველი ყრილობა საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მუშა-მოხელეთა წარმომადგენლებისა.

მთელი საზოგადოების ყურადღება ამ ჟამად აქეთ არის მიპყრობილი. ვინ არ იცის, რომ საქართველოს რკინის გზებზე წესიერ მიმოსვლას ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. მისი დროს შესაფერათ მოწესრიგება თავიდან აგვაცდენს იმ უბედურებას, რომელიც ამ ჟამათ უგზოობით არის გამოწვეული.

შეჩერეთ რკინის გზებზე წესიერი მიმოსვლა, საქონლისა და ნაწარმოების გადატან-გადმოტანა და მთელი ჩვენი ფიზიკური არსებობა თქვენს პირს წაიღებს. ისედაც მოწყვეტილი გარეშე ქვეყნებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი, რკინის გზებზე მიმოსვლის მოუწყობლობის გამო, წარმოუდგენელ ანარქიას განიცდიან. მთელი რკინის გზების მუშა-მოხელეთა ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიქცეული, რომ მიმოსვლა სწრაფათ და წესიერათ სწარმოებდეს, რათა ამ გზით ხელი შევუწყოთ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხები ეკონომიურათ ერთი მეორეს დაუახლოვდეს და ნაწარმოების გაცვლა გამოცვლა, ნაწარმოების გადატან-გადმოტანა შეუფერხებლათ ხდებოდეს.

რკინის გზები მონოპოლიური ხასიათის წარმოება. იგი მხოლოდ მთავრობის ხელში უნდა იყოს. იგი მთავრობის ხელში საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავრობის სათავეში თვით დემოკრატია უდგას და მისი წარმომადგენლები განაგებენ სახელმწიფოს ბედ-იღბალს. ამ შემთხვევაში ადმინისტრატიული ნაწილი მთავრობის ხელში უნდა იყოს. რკინის გზის მუშა-მოხელეები თავიანთ ერთგული მუშაობით თავიანთ პროფესიონალური ორგანიზაციით მას დახმარებას უნდა უწევდენ. ადმინისტრატიული ფუნქციების შესრულება მთავრობის საქმეა. დემოკრატია თავისი შეგნება-შეკავშირებით მას ეხმარება.

ამ ნიადაგზე მთავრობასა და მოხელეთა შორის კონფლიქტი არ უნდა ხდებოდეს, ერთმანეთს უფლებებში არ უნდა ეცილებოდნენ. მუშა-მოხელეები უნდა დაადგენ პროფესიონალურ კავშირების მოწყობას, კულტურულ საქმეების გაკეთებას. სწორეთ ასეთ პირობებში შეიძლება მუშა მოსამსახურეებმა თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა შეასრულონ და ამავე დროს თავისი წევრების ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებიც დაიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშა-მოხელეები სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნიან, რაც დიდათ მავნებელი იქნება მთელი დემოკრატიული წყობილებისათვის.

ჩვენ არ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, საცა ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას ადგილი ექნება და უფლებრივ მდგომარეობას ცუდი შედეგები მოჰყვება. გავიხსენოთ ბალშევიკების მიერ რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფოებრივ უფლებით აღჭურვა. მუშა-მოსამსახურეები, სულ ერთია, ისინი რკინის გზებისა თუ სხვა რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებებისა, განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებენ, ისინი მთავრობის ადმინისტრატიულ უფლებებს არ იღებენ.

შეთანხმებული მუშაობა და მოვალეობა-უფლების შესაფერათ განაწილება აცდენს ჩვენ რკინის გზებს სისტემატიურ ანარქიას და მთელ საქმის წარმოებას წესიერ პირობებში ჩააყენებს. იმედია საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მუშა-მოხელეები კარგათ გაითვალისწინებენ და რკინის გზებზე შექმნიან ისეთ უფლებრივ ძალთა განაწილებას, რომელიც მიმოსვლას და საქონლის გადატან-გადმოტანას გაადვილებს და ჩვენ დანგრეულ ნივთიერ მდგომარეობას გამოაკეთებს.

## განხეთქილება ნაციონალ-დემოკრატების ბანაკში

წარსულ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შეთანხმებისთვის საჭიროა საერთო ნიადაგი. მაშასადამე ჩვენში შეთანხმება შეიძლება მოხდეს იმ კლასებ შორის, რომელთაც წარსულთან სრულიად გასწყვიტეს კავშირი და მომავლისკენ იყურებიან, ასეთი არიან, მაგალ. მშრომელი გლეხკაცობა, ქალაქის მუშები და რამდენიმეთ წვრილი მესაკუთრეები სხვადასხვა ჯურისა. ბურჟუაზია ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით ჩვენში ძალზე სუსტია და მცირე რიცხოვანი. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება თუმცა ოფიციალურათ დიდი ხანია მოისპო, მაგრამ ფაქტიურად თითქმის დღემდის არ დაუკარგავს მას გავლენა. იგი წარსულის მოტრფიალეა და ეჭვის თვალით უყურებს მომავალს. ასეთია მოკლედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სტრუქტურა. ამ გარემოებას, რასაკვირველია, თავისებური გავლენა აქვს ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ჩვენმა ხალხმა თუმცა ფეხი შესდგა ბურჟუაზიულ ხანაში, მაგრამ იგი დღემდის ვერ განთავისუფლებულა ფეოდალურ იდეოლოგიისაგან. ასეთი გამოურკვევლობა და დაუსრულებლობა ეკონომიურ სფეროში, იწვევს მერყეობას და ორჭოფობას პოლიტიკურ აზროვნებაში. ნაციონალ დემოკრატიული პარტია დღემდის ორ სკამზე იჯდა. ერთი თვალით იგი წარსულისაკენ იცქირებოდა და ეალერსებოდა თავად აზნაურობას, მეორე თვალით ბურჟუაზიას შეტრფოდა. და აი ამ ორ სკამ შუა ჯდომას ბ-ნი ვეშაპელი ეძახის „სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას“ და „ზეკლასიურ პოლიტიკას!“ ის განხეთქილება, რომელიც მოხდა ნაციონალ დემოკრატების პარტიაში, ბუნებრივი შედეგია ამ პარტიის არა ნორმალურ მდგომარეობისა.

ამის შემდეგ უეჭველია პარტიული ცხოვრება უფრო ჩამოყალიბდება ჩვენში და გაიფანტება ის პოლიტიკური ბურუსი, რომელსაც ჰქმნიდენ ნაციონალ დემოკრატები. მხოლოდ ბ-ნი ვეშაპელი განაგრძობს დღესაც ამ ბურუსში ყოფნას და დარწმუნებულია, რომ იგი აკეთებს სახელმწიფოებრივ საქმეს. ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამას, ბ-ნი ვეშაპელი კი გაურბის ამას და ხელოვნურად ჰქმნის რაღაც „ზეკლასიურ“ პოლიტიკას. „ეროვნულ პარტიას, ამბობს ბ-ნი ვეშაპელი, არ შეუძლიან თავისი მისიის მიტოვება და გარდაქცევა პროფესიონალურ ინტერესთა დამცველ პარტიად. დიდი ეროვნული საკითხების გარკვევა და გარდაწყვეტა საქართ. საერთაშორ. მდგომარეობის თვალსაზრისით, ეს არც ერთს კლასიურ პროფესიულ პარტიას არ შეუძლია, ეს ნაციონალურ პოლიტიკის პარტიის საქმეა“. ხოლო რაში გამოიხატება ეს ნაციონალური პოლიტიკა და ვინ უნდა აწარმოვოს იგი—ამაზე ბ-ნი ვეშაპელი არ იძლევა გარკვეულ პასუხს. გამოდის, რომ ზეკლასიური პოლიტიკა არის ნაციონალური, ხოლო ნაციონალური—ზეკლასიური. ამ მოჯადოებულ წრეში უიმედოდ ტრიალებს ბ-ნი ვეშაპელი და სხვებსაც შიგ ეპატიჟება..

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბ-ნ ვეშაპელს სახელმწიფო კერპად წარმოუდგენია. ასეთივე აზროვნების მეტოდი გადააქვს მას კერძო საკუთრებაზე. ბ-ნი ვეშაპელი და მისი პარტია ყოველ ჯვარედინ გზაზე გაჰკივიან კერძო საკუთრების ხელ შეუხებლობას, თითქოს მართლა იგი კერპი იყოს და არა ცვალებადი სოციალური მოვლენა. ბატონ ვეშაპელს მოსვენებას არ აძლევს „ნ. ხომერიკის მიწის დეკრეტი“, რომელიც თურმე დაღუპავს უქადის ჩვენ ნორჩს სახელმწიფოს. რაშია საქმე? მკითხველმა იცის, რომ ამ დეკრეტის ძალით მსხვილ მემამულეებს ერთმევათ უსასყიდლოთ მიწა ნორმაზე ზევით. ჩამორთმეული მამულები გადადის სახელმწიფოს მიწის ფონდში, რომელიც შემდეგ ხელმისაწვდომ ფასებში გადაეცემა კერძო საკუთრებად მშრომელ გლეხკაცობას. აი ამ ... ბ-ნი ვეშაპელი ეძახის „...ჩილობას“, „მცირე მამულიანი გლეხი, განაგრძობს იგი, უნდა უზრუნველვყოთ მიწით, მაგრამ ისე, რომ საკუთრება არავის არ წაერთვას“. ბ-ნ ვეშაპელს უნდა, მაშასადამე, მიწის საკითხი ისე გადასჭრას, რომ მან არც მწვადი დასწვას და არც შამფური. ბ. ვეშაპელი ბოლოს ურიგდება იმ აზრს, რომ შეიძლება სახელმწიფომ „რომელიმე მემამულეს“ მიწა ჩამოართვას, მაგრამ „მესაკუთრეს სამართლიანი ფასი უნდა მიეცეს მის საკუთრებაში“. მაშასადამე, „საკუთრების შეხება“ შესაძლებელი ყოფილა სახელმწიფოს მხრივ ზოგიერთ შემთხვევებში. ამ ფაქტს ბ-ნი ვეშაპელი უკვე ურიგდება. იგი უწყრება თავის ყოფილ „ამხანაგებს“ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ურჩიეს მთავრობას „ცოტაოდენით“ დაკმაყოფილდითო. ასე აწვრილმანებს ბ-ნი ვეშაპელი პრინციპიალურ საკითხს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ. მისი მსჯელობა იწყება უფლებრივ სფეროში და თავდება უბრალო კომერციულ მოსაზრებით. აი სწორედ ამას ჰქვიან სახელმწიფოებრივი გზის მიტოვება და „კლასიურ შესახვევში“ გადასვლა. ჩვენთვის კი საკითხი სულ სხვანაირად დგას. მიწის საკითხის გადაჭრას ამ შემთხვევაში ჩვენ უყურებთ არა უფლებრივი, არამედ სოციალურ პოლიტიკური მხრივ. თუ, რომ ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესი და მისი ეკონომიური განვითარება მოითხოვენ იმას, რომ მიწა ჩამოერთვას მსხვილ მემამულეებს და გადაეცეს იგი მშრომელ გლეხ-კაცობას, ეს დაუყონებლივ უნდა მოხდეს. იმის მაგივრად, რომ საკითხი ასე სწორე და პირდაპირ დააყენოს, ბ-ნი ვეშაპელი გაჰკივის კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობაზე. თითქოს ხალხი იყოს „კერძო საკუთრებისთვის“ გაჩენილი, და არა საკუთრება ხალხისთვის.

რად მოსდის ეს ბ-ნ ვეშაპელს? იმიტომ, რომ იგი კერპთ-თაყვანის მცემელია და მას უფეტიშოთ ცხოვრება არ შეუძლია. ბ-ნ ვეშაპელის ერთი უდიდესი კერპი არის ეროვნული სახელმწიფო, რომლის ორგანიზაცია „სავსებით ეგუება ქართველი ერის მთავარ კლასთა ინტერესებს“. ვინ არიან ეს მთავარი კლასები და როგორია მათი ინტერესები? აი რა პასუხს იძლევა ამაზე ბ-ნი ვეშაპელი: „ქართველი ერის უმრავლესობა—მიწის მესაკუთრენი და მეურნენი, სულ ერთია რა წოდებისაც უნდა იყვნენ ისინი, გლეხები თუ თავად-აზნაურები, თავიანთი აგრარული ინტერესების ნამდვილ დამცველს მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოში ჰპოვებენ... ასე-

...ქმის ეროვნულ ფარგლებში მომქედ ვაჭარ მრეწველებზე“. სწორედ რომ საკვირველი თვისება ჰქონია ბ ნ ვეშაპელის კერპს—ეროვნულ სახელმწიფოს! ...არ გინდა, რომ იქ ბედნიერად არ გრძნობდეს თავს. მიწის მესაკუთრე და მეურნე, გლეხი, თავადი, აზნაური და ვაჭარი, ყველას აკმაყოფილებს ბ ნი ვეშაპელი. ეს ალბად მას ან დიდი უვიცობით მოსდის ან-და დიდი ხათრით. ის სურათი, რომელიც ბ ნმა ვეშაპელმა დაგვიხატა ეროვნული სახელმწიფო კი არ არის, არამედ, თუ ბ ნ რ. გაბაშვილის ტერმინოლოგიას ვიხმართ, „ფრაზეოლოგიის აჯაფსანდალი“. ყველა ამის შემდეგ ბ ნი ვეშაპელი რიხიანად ამბობს: „ჩვენი პოლიტიკა ნაციონალურია პირველ ყოვლისა, ამიტომ ვაწარმოვებთ ჩვენ სოციალისტური მთავრობის ოპოზიციას და ამას იქითაც განვაგრძობთ ამ ტაქტიკას, სანამ ქართველი ერის პოლიტიკურ ძალთა განწყობილება არ შეიცვლება ჩვენი პარტიის სასარგებლოდ...“ განაგრძეთ, ბატონებო! მაგრამ იცოდეთ კი, რომ ცუდა დიდხანს მოგინდებათ...

დ. ონიაშვილი.

# პრესა

ლევ. ყიფიანიც ადასტურებს „ედინენი“-ში იმ უკუღმართ აზრს, თითქოს გარუსების პოლიტიკის ბრალი არ ყოფილიყოს ის მოვლენა, რომ ქართული ენის სწავლება რიგიანად არ იყო დაყენებული არა თუ სკოლებში, არამედ—ეს ენა წარიყვანა ქართველთა ოჯახებშიაც

„რუსული ენა ნაციონალიზაციის უკიდურეს მომხრეთა გასალიზიანებლადაც კი ყველგან არის გამეფებული დღეს და ეს იმიტომ კი არა, რომ ასი წლის განმავლობაში ცხოვრებაში ატარებდენ ყველაფერი ქართულის გარუსებას, რის შესახებაც აგრე რიგათ უყვართ ლაპარაკი ქართველ შოვინისტთა ბანაკში, თითქოს ეს იყოს შედეგი ძალადობის პოლიტიკისა! ქართველებში არ ყოფილა განვითარებული მტკიცე სიყვარული მშობლიური ენისადმი და ყოველთვის მიიწევდენ რუსული ენისაკენ. თუ ქართულ ენას სკოლებში სდევნიდენ, ქართულ ოჯახში ხომ ამ ენას არავინ არ სდევნიდა და ოჯახში რომ ჩვენ ძლიერი გვქონოდა ეროვნული სახე—არ ექნებოდა ადგილი „უსაბუთო ბრალდებას“ ძალადობით გარუსებაში“.

ლევ. ყიფიანის მსგავსი მწერლები თუ მოღვაწეები დიდ სამსახურს უწევდენ გარუსების მომხრეთა მოღვაწეობას ჩვენში ძველად. ამ ჟამად ეს „მოღვაწეები“ ამართლებენ გამრუსებელთა პოლიტიკას!..

ლევ. ყიფიანს, ალბათ, ჰგონია, რომ ენას იმიტომ შეისწავლის ვინმე კარგათ, რომ ის მას ესტეტიურად დაატკბობს. ენა არსებობისათვის ბრძოლაში უმთავრესი იარაღია.

გამრუსებლებმა ჩვენი ცხოვრება ისე მოაწყვეს, რომ ქართულ ენას გასავალი არსად არ ჰქონია, რუსი ბიუროკრატების ბატონობის დროს ეს იარაღი არ გამოდგა სახეირო, ამიტომ მეორე იარაღის ხმარების სწავლას (რუსული ენის) დაეწაფა ხალხი!

ლევ. ყიფიანს ეს, უეჭველია, მოეხსენება, მაგრამ ის მაინც ისე სწერს, როგორც მისგან მოითხოვენ.

„კავსოგორის“ (კავკასიის ქალაქთა კავშირი) დაშლით „ტრუდოვოე ზნამია“ უკმაყოფილოა. ალბათ, ამ გაზეთის აზრით სახელად უნდა დარჩენილიყო „კავსოგორი“. წარმოდგენილი იქნებოდენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქები! გაზეთი სწერს:

„ყრილობის უმრავლესობის მიერ სასიხარულო წამოძახილებისა და ინტერნაციონალური რწმუნების წინააღმდეგ ამ აქტით საბოლოვოთ მოხდა გათიშვა და საფუძველიც ჩაეყარა ნაციონალურ შუღლს, რაიც ეს რამდენიმე თვეა თავის ბეჭედს ასვამს ჩვენს ცხოვრებას, ღრღნის და აქუცმაცებს ყოველგვარი კეთილი საქმის დასაწყისს, რომელიც მიმართულია ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის საკეთილდღეოთ“.

ასე რომ, ამ „უაღრესი ინტერნაციონალისტების“ აზრით შესაძლებელია საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებს ვუწოდოთ ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირი, გამოვსცეთ „კავკაზსკი გოროდ“ ი რუსულ ენაზე და ეს იქნება ინტერნაციონალური მოღვაწეობა.

ადერბეიჯანის, სომხეთის ქალაქები სად არიან ამ დროს? ჭეშმარიტად ეთქმის ამ ქალაქებს—безъ меня меня женили... და სხ.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

16 სექტემბერი.

**მოსკოვი.** როგორც ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ბიულეტენი გვწყებს, საბჭოთა მერვე არმიაში აღმოჩენილ იქნა მემარჯვენე ესერების მიერ მოწყობილი შეთქმულობა. ...

...აფერხებს ამ რაიონების გერმანელ ჯარებისაგან განთავისუფლებას. ბურჟუაზია თეთრ გვარდიას აღგენს, რათა ბელორუსიის საბჭოთა რუსეთზე შეერთებას ხელი შეუშალონ.

კერენსკის დროს დამკვრელი ბატალიონების მომწყობი ბოჩკარიოვას ქალი დახვრეტილ იქნა კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებისათვის.

დამტკიცებულ იქნა რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელშეკრულობა.

ნუაენიდან ჰუწყებიან, რომ იქ გარდაცვლილა რუსეთის რევოლიუციის ბებია ბრეშკო ბრეშკოვსკაია.

გერმანიასა და უკრაინას შორის მოლაპარაკებაა თავისუფალ ვაჭრობის აღდგენის შესახებ.

17 სექტემბერი.

**პარიზი.** რანსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრანგებს იერიშები მიჰქონდათ. მიუხედავათ გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა, ფრანგებმა წინ წაიწიეს 1 კილომეტრით. წამოიყვანეს ფრანგებმა 600 ტყვე და ორი ზარბაზანი.

**ბერლინი.** ლაბასის არხის და ლისის სამხრეთით ჩვენ საყურადღებო ოპერაციები შევასრულეთ.

გავრინკურტუმსა და ეპეის შუა დილით სასტიკი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერი იერიშით მოვიდა, რომელიც ჩვენ მოვიგერიეთ. ენსა და ელეტს შუა ძლიერი ბრძოლაა. იერიშები მოგერებულ იქნა, მხოლოდ მტერმა შესძლო ვეილის სამხრეთით გამაგრება. ლოტარინგიის ფრონტზე მტრის იერიში მოგერებულ იქნა.

**ბერლინი.** ელეტსა და ენს შუა მტრის მიერ განახლებული შემოტევა უშედეგო იყო.

**მოსკოვი.** სკანდინავიის ქვეყნების მუშათა კონფერენციაზე მთავარ საგნათ იყო ზავის და ინტერნაციონალის აღდგენის საკითხები.

**ბერლინი.** ლენსიდან სუასონამდე ინგლისელები განაგრძობდენ იერიშებს 13 სექტემბერსაც. გუზიკურტთან ინგლისელებმა სცადეს ახალი იერიშის მიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნენ. ტყვედ დაგვრჩა 25 კაცი. მაასის და მოზელის შუა დღე მშვიდათ ჩატარდა. ყალბი იყო მტრის მიერ რადიო-სადგურის საშუალებით გავრცელებული ცნობა, თითქოს წმ. მიელთან გერმანელების მდგომარეობა კრიტიკული ყოფილიყოს. ვინაიდან აქ უკან დახევა მოხდა დღით, ყველაფერი გამოტანილ იქნა. აქ პირველად მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში ავსტრო-უნგრეთის ჯარებმა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## კავკასიის რესპუბლიკების ფინანსიური მომავალი.

„კაუკაზიშე პოსტის“ მე-54 ნომერში დოქტორი ვესტენჰაგენი (საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსიურ მრჩევლად მოწვეული) შემდეგსა სწერს კავკასიის რესპუბლიკების ფინანსიურ მომავალზე:

„კაუკაზიშე პოსტის“ უკანასკნელ ნომერში მე წინადადებით მოხოვდენ მიმეღო მონაწილეობა ამიერ-კავკასიის ფინანსიურ საქმეების ახლად მოწესრიგებაში.

„ჩემის აზრით, საქართველოს ფინანსიური არსებობა-განვითარება და მასთან ერთად მთელი კავკასიისა მოხდება ისე, რამდენათაც ეს გულისხმობს მსოფლიო ეკონომიურ წარმოების ხელახლა აღორძინებას.

„ომმა ბევრი რამ საბოლოოდ დაარღვია, ეხლა საჭიროა ხელახლად აშენება და ომის მიზეზით მოყენებულ ზარალის თავიდან აცილება. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება წყნარი, წესიერი პირობები, მხოლოდ შემდეგ შესძლებს ადამიანი დასტკბეს თავისი დამსახურებული შრომის ნაყოფით.

„ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით სასარგებლოა წუშა-ხალხისათვის, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეიქნება ქვეყნისათვის ისეთი პირობები, როდესაც შესაძლებელი გახდება ყველა დარგის წარმოების ამოქმედება და მუშათა მასის უმრავლესობის შესაფერ საქმეში ჩაბმა, რომელიც ამავე დროს უზრუნველყოფს მის ნაშრომსაც.

„კავკასია,—ეს ისეთი მხარეა, რომელიც მეტად მდიდარია ყოველგვარი ნედლი მასალებით: ზეთით, ბაბით, სპილენძით და ლითონებით, მაგრამ პირველ ყოვლისა, საჭიროა ყველა ამ სიმდიდრის თავის მოყრა და შემდეგ მისი გამოყენება საქმეში. ამ თავიდან, თუ ეს მოხდება, საჭიროა კავკასია ჩაიდგეს ისეთ პირობებში, რომ შიგ უზრუნველყოფილ იქნას ყველა ის საქონელი, რომლებსაც უშვებენ ევროპის ფაბრიკები, ვინაიდან თუ ევროპელმა ვაჭრებმა ვერ გაამართლეს სანაზღაური, ისე ისინი საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ.

„თუ ჩვენ დღის ინდუსტრიის ძლიერებას გადავხედავთ, ეჭვი არ არის, რომ პირველი ადგილი გერმანიას ეკუთვნის. მაგრამ მარტო მისი მდგომარეობა როდი მოითხოვს, რომ მან კავკასიის სავაჭრო საზღვრები თავისთვის გამოკეტოს და უკანასკნელის განკარგულებაში სამაიეროთ თავისი საკუთარი ნაწარმოები და საზოგადოთ თავისი ფაბრიკატი გადასცეს.

„ასეთ ეკონომიურ მნიშვნელობის ნაბიჯის გადასადგმელათ საჭირო გზა გაიკაფოს ევროპისაკენ და სახელდობრ, გერმანიისაკენ, რომ გერმანიის ფაბრიკანტებს ქონდეს საზოგადოთ საშვალება გამოგზავნონ თავიანთი საქონელი კავკასიაში. ეს იქნება საუკეთესო საშვალება ფულის აღებ-მიცემის განვითარების მოსაწესრიგებლათ

„მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიშვება გერმანიასთან ეკონომიური კავშირი, რომელიც გერმანიასა და კავკასიის შორის, საიმედო გზების საშვალებით, თვით გაიკაფავს გზას ფულის აღებ-მიმცემლობის მოწესრიგებისაკენ.

„ამ ნიადაგზე მუშაობა არის მოვალეობა ყველა გერმანელ, ქართველ, სომეხ და თათრ ვაჭრებისა.

ფულის აღებ-მიცემლობა და პირველი ნაბიჯი კავკასიის, მსოფლიო ბაზართან გაერთიანებისაკენ არის მთავარი პირობები მისი განვითარებისა. აქ არის კავკასიის ეკონომიური ძლიერება და მისი მომავლის სათავე.

„დიდება იმ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც პირველ ნაბიჯს გადადგამს თავის ხალხის ასამაღლებლათ“.

# ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამატებითი მუხლები

ოფიციალურ გერმანულ „Nozdibeutsche Allgemeine Zeitung“-ში გამოქვეყნებულია ვრცელი „არა-ოფიციალური“ ცნობა ბრესტ ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამატებითი მუხლების შესახებ.

პირველი მუხლი ეხება უმთავრესად რუსეთის ყოფილ განაპირა ქვეყნებში ახლად დაარსებულ სახელმწიფოებს.

ასე მაგალითად, ესტლიანდია და ლიფლიანდია უერთდება კურლიანდიას, მაგრამ ამასთანავე რუსეთის სახალხო მეურნეობას კავშირი აქვს ბალტიის ზღვასთან სავაჭრო გზების უზრუნველყოფით და თავისუფალი ნავთსადგურების შექმნით.

საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს, გამოქვეყნებულს საბჭოთა მთავრობის მიერ, აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ კავკასიის სხვა სახელმწიფოების და აგრეთვე ყირიმის შესახებ გაზეთში არაფერია ნათქვამი.

რადგანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბაქოს, როგორც ნავთის სამრეწველო ცენტრს და საჭიროა მისი შენახვა და გადარჩენა, ორივე მხარე არ სცნობს შესაძლებლად, რომ ეს ნაწილი კავკასიისა რუსეთს ჩამოშორდეს. საბჭოთა მთავრობა სიტყვას იძლევა დაუთმოს ნაწილი ნავთისა გერმანიას და მის მოკავშირე სახელმწიფოებს. სამხედრო მდგომარეობის განხილვის დროს, რომელიც შეიქმნა, როგორც გაზეთი ამბობს, იმის გამო, რომ ზოგიერთი განაპირა ქვეყნები იხმარიებდენ გერმანიის ჯარებს თავისი სახელმწიფოებრიობის დასამყარებლად და შინაური ანარქიის ჩასაქრობად, და იმ კონფლიქტების განხილვის დროს, რომლებიც ხდებოდა ზოგჯერ ჯარების მიერ საბჭოთა მთავრობის ბრძანებების უარყოფით და არ შეუსრულებლობით მოხდა შეთანხმება ამ კონფლიქტების შესახებ და რუსეთი უზრუნველყოფილ იქნა საზავო ხელშეკრულობის სამხედრო პირობათა საკმაოდ შემსუბუქებით. რაც შეეხება გერმანიის მიერ დაკავებულ ოლქებს უკრაინის აღმოსავლეთით, აქ ყოველგვარი საჭიროება ველიკოროსიის ეროვნებისა ადგილობრივ ნაწარმოებებში გახდება საგნად ცალკე ადგილობრივი შეთანხმებისა.

მეორე მუხლი აწესრიგებს გერმანეთ-რუსეთის ფინანსიურ ურთიერთობას და ბანკის ღირებულებათა გაცვლა გამოცვლას. რუსეთი მოვალედ სთვლის თავს გადაუხადოს გერმანიას 6 მილიარდი მარკა ზარალის ასანაზღაურებლად, 1 მილიარდი მარკა აქედან ერგება უკრაინასა და ფინლიანდიას. კითხვა წარმოებების და უძრავ ქონებათა სოციალიზაციის შესახებ გადაიჭრა ისე, რომ გერმანიის ქვეშევრდომთ აუნაზღაურდებათ ყველა ის ზარალი, რომელიც მათ ამით მოუვათ, მხოლოდ უარყოფილ იქნა შესაძლებლობა გერმანიის სასარგებლოდ კანონების შეცვლისა.

აღიარებულ იქნა ნაციონალიზაცია კაპიტალების იმ პირობით, რომ დამოკიდებულება როგორც უცხოელების, ისე რუსების მიმართ ერთნაირი იყოს. მხოლოდ გერმანიის ქვეშევრდომთ ეძლევათ უფლება ზარალის ანაზღაურებისა, თუ ყოველ კერძო შემთხვევებში ეს უფლებანი დადასტურებულ იქნა უპარტიო ინსტანციის მიერ. უარყოფილ იქნა განსაზღვრა ბანკის კაპიტალებით სარგებლობაში იმ პირობით, თუ დამტკიცდა ის ფაქტი, რომ ამა და იმ გერმანულმა წარმოებამ თავისი მოქმედება დაიწყო 1918 წლის 1 ივლისამდე. ბოლოს, მემკვიდრეობის უფლების გარკვევის დროს ორივე მხარემ დაიცვა ძალაში ...

ჩეს 1874 წელში დადებული რუსეთ-გერმანიის დამატებითი კონვენცია.

მესამე მუხლი, რომელიც აწესრიგებს კერძო უფლებრივ სამოქალაქო ურთიერთობას, ეხება ჩეკებისა და ვექსილების საკითხს, ვალიუტის ოპერაციებს, სამრეწველო დაცვას და გაცემათა ვადას. გერმანელ და რუსთა შორის კერძო—უფლებრივ საკითხების გასარჩევად არსდება ორი საერთაშორისო სასამართლო მოსკოვსა და ბერლინში, სადაც შევლენ თავმჯდომარედ გერმანელი, ერთი რუსი და ერთიც გერმანელი მოსამართლე. ამ სასამართლოების დადგენილებებს ექნებათ საბოლოო ხასიათი.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 7 ს., შესდგება ს. დ. პ. საოლქო კომიტეტის კრება.

✦ **დეზერტირები.** 8 სექტემბერს თოფის წამლის საწყობის მოდარაჯე სამი ჯარისკაცი მეოთხე ქართული პოლკისა გიორგი პეტრიაშვილი, ივანე ბაზარაშვილი და ზაქრო დამაშვილი გაიქცნენ. თოფები არ წაუღიათ. გაქცეული ჯარის კაცები ყველანი სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯაანის მცხოვრებნი არიან.

✦ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში უკანასკნელ დღეებში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და 10 ხოლერით საეჭვო ავადმყოფი. საეჭვო განყოფილებიდან გადაყვანილ იქნა სხვა განყოფილებაში 3, მორჩა 10, მოკვდა 6 ხოლერიანი და 5 საეჭვო. 16 სექტემბერს საავადმყოფოში იყო 115 ხოლერიანი და 14 საეჭვო ავადმყოფი.

✦ **მთავრობის საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში** თხოვნების მიღება 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება. პირველ გაერთიანებულ კლასში უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელთა ანუ საშუალო სკოლის 4 კლასის კურს დამთავრებულნი მიიღებიან. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი მთავრის ქ., № 70.

✦ **ჰრა-კერვის სკოლაში** ქართველ ქალთა საზოგადოებისა, გაბაშვილის ქ. № 3, დაიწყება სწავლა 20 სექტემბერს ახალი სტილით. ახალი ბოწაფეების ჩაწერა შეიძლება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

✦ **ტფილისის მოსწავლეების** საზოგადოების კოოპერატივმა განაახლა მოქმედება. მიიღება გაყიდვა წიგნებისა. რიალური სასწავლებელი (უჩებნი შესახვევი) ყოველ დღე 5 საათიდან 7 საათამდე.

✦ **თავდასხმები ბორჩალოს მაზრაში** ხშირი მოვლენა შეიქნა. 25 აგვისტოს ახპატისა და ვარნაკის სოფლებს შუა თავს დაესხენ ლტოლვილთ და გაძარცვეს. ლტოლვილებს, რომელთა რიცხვი 30 მდე იყო წაართვეს 17 ათასი მანეთი. 24 აგვისტოს იმავ ალაგას დ. ეგიაზაროვს და ყ. ეგანოვს წაართვეს 3 ათასი მანეთი. როცა სოფლის კომისარმა ისრაელიევმა დააპატიმრა თავდამსხმელი სერ. სალაგანიანცი, მას გამოექომაგენ ნათესავები, აუტეხეს სროლა, დასჭრეს კომისარი ხელში და დაპატიმრებული გაანთავისუფლეს. ავაზაკები ხალხს ავიწროვებენ. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს გუბერნიის კომისარმა.

✦ **დაკარგული ბავშვი.** ხუთშაბათს, 12 სექტემბერს უგზო უკვლოდ დაიკარგა 4 წლის ბავშვი ანდრანიკა ბალდასარის ძე თუმასოვი. ტანად ბავშვი მსუქანია, შავგრემანი და შავთვალა. ტანთ აცვია ლურჯი ხალათი და შარვალი. ქუდი არ ხურავს. ფეხზე სანდლები აცვია. კეფა ცოტათი დაზიანებული აქვს. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე უმორჩილესად ვთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: მეშვიდე უბანი, ფერისცვალების ქუჩა № 11. (პრეობრაჟენსკაია № 11) ბალდასარ ტუმასოვს.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევში, ბილანაშვილის გიმნაზიის შენობაში, დანიშნულია მშობლებთა საერთო კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**ლანჩხუთის** ოთხ-კლასიან სავაჟო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 20 ენკენისთვეს, თავისუფალი ადგილები არის 1 (5) და 2 (6) კლასებში. 1 (5) კლასში უეგზამენოთ მიიღებიან უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, აგრეთვე სათანადო სასწავლებლებში. დანარჩენნი მიიღებიან სათანადო გამოცდების შემდეგ.

**ჯუმათი** (გურია). ვალიკო მიხელის ძე გოგუამ შესწირა ებალაურის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელს 250 მანეთი.

**ხაშური** (მიხაილოვი) ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების პედაგოგიური საბჭოები აცხადებენ, რომ მისაღები და ხელ-ახლა გამოცდები დაიწყება ყველა კლასებში 20 ენკენისთვეს, სწავლა დაიწყება 1 ლევინობისთვეს.

**ნიგოითში** (გურია) ხოლერა გაჩნდა. მოკვდა ერთი, ავად არის 2. დიზინტერიით მოკვდა 4, ავადაა 14. ლანჩხუთის საექიმო განყოფილებაში ყურადღება არ მოგვაქციეს. დახმარებას გვიწევს ადგილობრივი ფერშალი წილოსანი. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

**ხად. ქუთაისის** სასურსათო საწყობიდან მოიპარეს ფართლეულობა და სხვადასხვა საქონელი. დაატუსაღეს სასურსათო კომისიის წევრები კუცია და ლოლუა, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ სახლში სხვა ნაქურდალი საქონელიც, ფართლეულობა კი ჯერ არა სჩანს. მოსამსახურენი ძლიერ აღელვებულნი არიან და ბრალს სდებენ სასურსათო კომისიის თავმჯდომარეს მ. დევდარიანსაც. მოითხოვენ დამნაშავეების აღმოჩენას და სასტიკ სასჯელს. კომიტეტმა უკვე მიიღო ზომები და შეუდგა გამოძიებას.

**სოფ. კავთისხევი** (ქართლი). სოფ. კავთისხევი ითვლება გორის მაზრაში ერთ ერთ დაწინაურებულ სოფლად. აქ საკმაოდ ბევრი კულტურული დაწესებულებანი არსებობენ, რომლებთაც, რასაკვირველია, ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც ემსახურებიან ხალხს. 15 სექტემბერს აქ გამართულ იქნა წარმოდგენა, რომელსაც ხალხი საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენილ იქნა ცაგარელის პიესა. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა ერობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არჩ. მექანარიშვილმა. ერობის არჩევნები აქ დანიშნულია ამ თვის დამლევს. მომხსენებელი შეეხო იმ კითხვებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ერობის შემოღებას ქართლში დამოუწოდა ხალხს ყველას ესარგებლა საარჩევნო უფლებით და ხმა მიეცათ ს.-დ. პარტიის კანდიდატებისთვის, № 1 სიისთვის. წარმოდგენაც კარგად ჩატარდა. აქაურმა სცენის მოყვარეებმა ყველამ კარგად შეასრულეს თავისი როლი. კარგები იყვენ მასწ. იოსებ ცხვედაძე, ირაკლი მექანარიშვილი, ვასო სადუაშვილი, ქ. ქ. დედანაშვილები, რომლებმაც ხალხი მეტად ასიამოვნეს. შემოსავალი გადაიდო ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოდ. აქ წელს დიდი გვალვაა. მინდვრები სულ გამხმარია. წყალი ძნელი საშოვნელია. აი ერობა რომ იქნება, ის ეცდება პირველ რიგში არხების გამოყვანას, რომ კავთისხევის რაიონი სულ მოირწყოს ხოლმე. მაშინ გვალვა იმდენს ვერაფერს დააკლებს სოფელს. ამიტომ საჭიროა ყველამ მიიღოს ერობის არჩევნებში მონაწილეობა.

# ცოტა რამ ჯარში გასაწვევთა შესახებ.

ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა მოგროვება უკვე სწარმოებს, ზოგიერთ მაზრებში ეს შეგროვება სასურველათ მიმდინარეობს, მაგრამ სამხედრო საკრებულოთა და ადგილობრივ ადმინისტრაციის მოუწყობლობის გამო მრავალ ახალგაზრდათ ხალისი ეკარგებათ და ბევრი ხეტიალის შემდეგ დეზერტირობასაც აღარ ერიდებიან. ზოგიერთა მაზრებში ისიც-კი ვერ მოუხერხებიათ მაზრის კომისარებს და სათანადო პირებს, რომ ყოველ თვალსაჩინო ალაგას გამოაკრან განცხადებანი, როგორც ეს ძველათ ხდებოდა, რომ გააგებინონ ხალხს თუ რომელი წლების და რამდენი წლისანი სად უნდა გამოცხადდენ. ამ გარემოებას სამხედრო და შინაგან სამინისტროებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. აქ მე მინდა, სათანადო დაწესებულებების ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: ძველათ მრავალ მანქანების საშუალებით ქალაქის ვაჭრები—ნამეჩნავათ მსხვილი—და „გამოცდილი“ მოხელეები ყოველთვის ახერხებდენ სამხედრო სამსახურისთვის თავი დაეხწიათ. ამ ჟამად მრავალ ჩვენს ამხანაგებში ეს გარემოება აღელვებას იწვევს, რომ ეს ვაჟბატონები თითქოს კიდევ ახერხებდენ თავის „დაძვრენას“.

10 სექტემბერი უკანასკნელი ვადა იყო ჯარში გამოცხადებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლიდან სიმღერით და ზურნით მოდიან ახალგაზრდანი, ნაკლებათ სჩანან ქალაქელნი. აუცილებლათ ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ეს ხალხი დაუყონებლივ იქნან გაწვეულნი სამხედრო საკრებულოში და სასტიკი თვალყურის ქვეშ ჩაირიცხონ ჯარში.

ს. მ—ძე

# რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა

16 სექტემბერი.

კრებას ხსნის მეგრელიშვილი, რომელიც მოითხოვს პრეზიდიუმის არჩევას. სოც. დემ. ფრაქციის სახელით მაჭარაძე ასახელებს პრეზიდიუმში თავმჯდომარეთ ძამანაშვილს, მის ამხანაგებათ მეგრელიშვილს და პატარაძეს. მდივნათ ბოკერიას, ამხანაგათ—ჰუნიას. ყველა ზემოხსენებული პირნი ერთხმათ არჩეულ იქნენ კრების მიერ.

გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე ესალმება ყრილობას მთავრობის სახელით, ამცნობს კრებას, რომ მთავარი საკითხთაგანი ყველასთვის ეს სურსათის მოწესრიგების საქმეა. გამოსთქვამს იმედს, რომ ამ ცოტა ხანში ოლქიდან შემოიტანენ პურს ... მთავრობას უკვე მოლაპარაკ... უკმაყოფილებას აცხადებენ, ... გირს დროზე ვერ ვიღებთო. ამ... ფულის ნაკლებობა არის. რკი... საშინელი არევ-დარევაა. არ... რომელიმე დარგში ასე იყოს ... საქმე. საჭიროა ზომები იქნას ... ლი, თორემ მერე გვიან-ღა იქნ... ზე კბენანი“. საშინელ ბოროტ... ბას, სპეკულიაციას აქვს ადგ... ნის გზაზე საჭიროა ყველა ... პობა თქვენივე დახმარებით. მ... დადგენილებით ფუნქციები ცე... რკინის გზის კომიტეტისა საპრ... კომიტეტი არ უნდა ერეოდეს ... რაციის და ტეხნიკურ საქმეე... თქვენც კარგათ გრძნობთ და ... ყველა დამეთანხმება. ის უფლ... მელიც რჩება კავშირს, ჩრუ... რუნველყოფს მოსამსახურეებს ... თავიანთი ინტერესები. სანამდ... სამინისტროს მიერ არ არის ... ბული უფლება და მოვალეობან... მწიფოს მოსამსახურეთა, ჩვენ ... ვიმუშავოთ ცენტრალურ კო... ერთად მოსამსახურეთა ... მღების საკითხი.

მინისტრი გამოსთქვამს იმ... ჩვენ შევეძლიან საერთო ენა ... ხოთ საქმის და რესპუბლიკის ... დღეოთ. ჩვენ ვიცით წარსულშ... მოღვაწეობა, რკინის გზის დე... ყოველთვის მედგარი დამცველ... ვისუფლების, სახალხო გვარდია... ლიც იცავს ჩვენს დამოუკიდ... მომეტებული ნაწილი თქვენგან... გება. მინისტრს შეეკითხვას აძლ... ლობის წევრნი: რას თხოულობ... სამაგიეროს ყუბანის ოლქიდან, ... მიდის კახეთში აღმოჩენილი ნა... მე. რათ დასჭირდათ დიქ... დანიშვნა და სხვ.

ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ... ბანის ოლქიდან თხოულობენ ... შაქარს და სხვ. მთავრობამ უკ... ნა თავის წარმომადგენლათ ... კორი. რაც შეეხება ნავთის ... ბას, უნდა ითქვას, რომ ახლო... ში კახეთის ნავთი ვერ შე... სათბობ მასალის კრიზისს ნავ... ლების დამუშავებას დიდი ... ფული ესაჭიროება. სპეციალის... რით, შესაძლებელია დღეში ... თამდე ნავთის დამუშავება, ... ღირსებით უკეთესი იქნება ... ნავთზე. ჯერ ჯერობით ტყიბ... შირზეა დამყარებული ჩვენი ... აგრეთვე ერთი წევრის შეკითხ... განვაცხადო, რომ ფიცხელაური ... არავითარი დიქტატორი. მას ... ის მოვალეობა, რაც გზის უფრ... ეს დროებითი იყო. საჭიროა ... და მიზ. ნშეწონილი ზომები, ... ისპოს ყველა ის უწესოება, ... რკინის გზაზე აქვს ადგილი. სახ... კონტროლიორმა არც ერთი ... შემუშავებული. შტატების პრო... დაამტკიცა.

სახელმწიფო კონტროლის აზ... ნის გზის სამინისტრო და სამმ... უნდა იქნას შეერთებული. გზა... ნისტრო სხვა აზრს ადგა, რომ... ექტი დამტკიცდება, ეს მომავლ... მეაო.

შემოდის წინადადება კარლო... იქნას არჩეული საპატიო თავ... რეთ. წინადადება ერთხმად იქ... ბული. კ. ჩხეიძე მადლობას ... კრებას ნდობის გამოცხადებისთ... აღუთქვამს ყოველივე დახმარებ...

კრება იღებს პრეზიდიუმის მ... დგენილ რეგლამენტს: გადას... მსჯელობა იყოს ქართულ ენაზე... რადგანაც ყრილობაში მონაწ... იღებენ რუსებიც, ამოირჩიეს მ... ლათ ამხ. ფერაძე.

კრება ავალებს სარედაქციო ... გიას, რათა მან ყოველ დღე გ... ბიულეტენები ქართულ და ... ენებზე.

მიღებული იქნა კომიტეტის ... წარდგენილი დღის წესრიგი.

სამანდატო კომისია მოხსენებ... თებს გადამწყვეტი ხმა მისცეს ... 4 დელეგატს სათათბირო ხმით ... ვეს კრებაზე.

დარბაზში გამოჩნდა ირ. წე... რომელსაც ყრილობა ტაშით ... იგი იქნა არჩეული. საპატიო თ... რეთ. დღიურ წესრიგის გამხ... კრებას ულოცავენ—ოკუნევი და ... ჩხეიძე. ოკუნევი თავის სიტყვა... ნიშნავს, რომ მას როგორც ... გზის უფროსს, სავალდებულოთ ... მიულოცოს ყრილობას და უსურ... ყოფიერი მუშაობა.

წელიწადზე მეტი მე თქვენი ... ვიყავი, ეხლა, როდესაც ვტოვებ... თველოს და სხვაგან მივემგ... მსურს უკანასკნელი სალამი ... მათ, ვისთანაც ერთად ვეწევ... ვაკეთებდი საქმეს. თქვენთან თან... ლობა ეს ერთი კარგ მოგონებ... იქნება ჩემთვის.

კარლო ჩხეიძე მიესალმება ... ბას საქართველოს ეროვნული ... სახელით. ჩვენმა დრომ ბევრ... თი რამ, რომელიც იდეალათ ... და, რისთვისაც ვიბრძოდით, ყვ... გვავიწყა უბრალო საგნათ ჩაგ... ვინა. გაიძახოდენ დამფუძნებელ...

ეს სისულელეაო, ეს დრომოჭმული ბურჟუაზიული დაწესებულებააო. ერთის ხელის დაკვრით მოსპეს ყველა ეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს შემდეგ სულ სხვა სახე მიიღო. იგი გადაიქცა ჩვენ პარლამენტათ. იგი არის წყარო ჩვენი უფლებებისა და ჩვენი ვალია იგი გავამაგროთ, გავაძლიეროთ. საბჭოში უმრავლესობა თქვენი წარმომადგენელნი, სოციალისტები არიან. თქვენ უნდა ეცადოთ ხალხში შეაგნებინოთ ჩვენი კანონმდებლობის დიადი მნიშვნელობა. მის გამაგრებას ხელი უნდა შეუწყოთ. ისტორიამ დაგვაკისრა უძნელესი როლი ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფოებრივი აპარატი, ეს უნდა შევასრულოთ ამ განსაკუთრებულ დროს. ყველას კარგათ მოგეხსენება, რომ არავითარი სოციალისტური წესწყობილების დამყარება ეხლა არ შეიძლება. ამას მასალა ესაჭიროება. ჩვენში კი კაპიტალისტურ ხანაში ეხლა შევდივართ. ჩვენი მიზანია შევქმნათ დემოკრატიული სახელმწიფო, მას უნდა ჩაუყაროთ საფუძველი თქვენის დახმარებით. თქვენი ვალია სალი კრიტიკა გაუწიოთ ჩვენ დაწესებულებას და ხალხში განამტკიცოთ ის აზრი, რომ კანონმდებლობითი ორგანო ეს უდიდესი მონაპოვარი არის რევოლიუციისა. ისტორია იტყვის, რომ კავკასიის სოციალ დემოკრატია ყოველთვის იდგა კლასობრივ ნიადაგზე, უნდა შევქმნათ პირობები ისეთი, რომ ჩვენმა კლასობრივმა ბრძოლამ სასურველი ნაყოფი მოიტანოს. (ტაში).

მამანაშვილი ყრილობის სახელით აცხადებს, რომ მანამ სათავეში ჩვენ საყვარელი მასწავლებლები გვიდგანან, მგონია, რომ განვლილ გზას არ გადაგვახვევინებენ და არც დავშორდებიანო. ჩვენ კი ჩვენის მხრით არაფერს დავიშურებთ დემოკრატიის საკეთილდღეოთო.

კრება შეუდგა მთავარ კომიტეტის მოხსენების განხილვას, მომხსენებელი ბოკერია შესავალში აცნობს კრებას, თუ რა დიდი როლი შეასრულა მთავარმა კომიტეტმა დეკემბრის დემობილიზაციის დროს.

ფრონტიდან დაიძრა ჯარი, რომელიც უქადდა განადგურებას ჩვენ მხარეს. არ იყო საკმაო ვაგონები, რომ ჯარი დროზე გაგვეგზავნა. ყოველგვარ ექსცესებს და არევ-დარევას ჰქონდა ადგილი. კომიტეტის წევრები მიდიოდენ ჯარისკაცებთან და ცდილობდენ ჩაეგონებინათ აზღვავებულ თავ-აშვებულ ბრბოებისთვის არ ჩაედინათ ხალხის დამღუპველი საქმე. ერთის მხრით დეზერტირი ჯარისკაცები, მეორე მხრით ქურდ ბაცაცები ანგრევდენ და ანადგურებდენ ყოველიფერს.

სწვავდენ რკინის გზის ხიდებს, ანგრევდენ ვაგონებს და ყველა ამ საქმის მოგვარება კომიტეტის წევრებს უხდებოდათ. იყო შემთხვევა, როდესაც კომიტეტის სამი წევრთაგანი ბრბოს მიერ იყვნენ შეპყრობილნი და საკვდილით დასჯა მოელოდათ. თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა მთავარმა კომიტეტმა დემოკრატიის საკეთილდღეოთ. მეორე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი— ეს შტატების შემოკლება იყო. უნდა შეგვემცირებინა გასავალი რკინის გზის თვეში 6 მილიონით. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ შეცდომები დავუშვათ. არ სცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს.

ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები, რათა შეგვემსუბუქებინა უმუშევართა მდგომარეობა.

მივიღეთ ყოველივე ზომები მათ სალიკვიდაციო დროზე მიეღოთ. ვთხოვეთ მთავრობას, რათა მათთვის სამუშაო აღმოეჩინათ. მართალია, რკინის გზის ხარჯები შევამცირეთ და შემოსავალმა იმატა, მაგრამ მაინც შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯებს. თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელ მომატებას—240 მან. მაშინ თვეში 6 მილ. მანეთი დაგვჭირდება სუბსიდიათ მთავრობისგან. რკინის გზის კომიტეტის ხელში იყო გამოძიების საქმე. ყოველივე ბოროტ-მოქმედება, დანაშაული მოსამსახურისა ირჩეოდა ამ კომიტეტში. სულ 1010 საგამომძიებლო საქმე ყოფილა. 193 კაცი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, 783 კაცს შენიშვნა გავუკეთეთ, 34 გავამართლეთ. მთავარ კომიტეტთან არის კომისიები სასურსათო, სამკურნალო, სარედაქციო და სხვ. ჩვენი მუშაობა არა მარტო მოსამსახურეთა პროფესიონალურ ინტერესების დაცვაში გამოიხატებოდა, არამედ—ვიღებდით მონაწილეობას სახელმწიფოს აღმაშენებლობითი მუშაობაში. თუ რა სარგებლობა მოვიტანეთ, ამას თვით პირუთვნელი კრიტიკოსები დაინახავენ. ფერაძე იწონებს მთავარ კომიტეტის მოქმედებას და სთხოვს გადავიდენ სხვა კითხვების გარჩევაზე. მით უმეტეს, ყოველ დარგში იქნება სპეციალური მოხსენებებიო.

კრება ეთანხმება ამ აზრს. ქ. ჩხეიძეს წინადადებით პრეზიდიუმს ევალება შეიმუშაოს რედაქცია რეზოლიუციისა, რომელიც წარედგინება კრებას დასამტკიცებლათ.

ამხ. ფირუმოვი იწონებს მთავარ კომიტეტის მოქმედებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ყრილობა ამცნობს როგორმე ჩვენგან დაშორებულ ამიერ-კავკავკასიის რკინის გზის დემოკრატიას მთავარი კომიტეტის მოღვაწეობას, რადგანაც ჩვენი კომიტეტი მათ მიერაც იყო არჩეულიო.

გადაწყდა ბიულეტენები გაეგზავნოთ ადერბეიჯანის და სომხეთის რკინის გზების მოსამსახურეთ.

მალანია ეთანხმება ფირუმოვს. აღნიშნავს, რომ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დავიყავით. ჩვენა ვალია ამხანაგური სალამი და მილოცვა გავუგზავნოთ ადერბეიჯანის და სომხეთის რკინის გზების მოსამსახურეთ. კრება იზიარებს ამ აზრს.

კანდელაკი მოახსენებს კრებას რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. მართალია, დეკრეტი შრომის სამინისტროს მიერ არის გამოცემული, მაგრამ რკინის გზაზე რვა საათის სამუშაო დღის დაკანონებას დიდი დეტალური განხილვა ესაჭიროება. ჩვენ დავაარსეთ სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა ადმინისტრაციასთან ერთად ეს საკითხი.

კომისიამ უკვე წარუდგინა მთავრობას პროექტი, მაგრამ შრომის სამინისტრომ საჭიროდ სცნო ეს საკითხი კიდევ გაირჩეს სპეციალურ კომისიაში.

## ქალაქთა კავშ. ყრილობა

14 სექტემბერი.

ყრილობას გადაწყვეტილებით კავშირში შემსული ქალაქი ვალდებულია გადაიხადოს ნახევარი პროცენტი თავის წლიურ ბიუჯეტიდან ქალაქთა კავშირის სასარგებლოთ. წინათ ამიერ-კავკასიის ქალაქები ერთ-მეოთხედ პროც. იხდიდენ მოსკოვში არსებულ მთელ რუსეთის ქალაქების კავშირის სასარგებლოთ. მეოთხედი პროცენტი კი ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირისთვის.

დ კალანდარიშვილი აკეთებს მოხსენებას მომავალ ქალაქთა კავშირის ორგანიზაციის შესახებ. პოლიტიკურმა მდგომარეობამ გაყო ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკათ. დაირღვა მთლიანი ამიერ-კავკასია—ერთი რესპუბლიკა მოსწყდა მეორეს. ფაქტიურათ არსებობს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი. მხოლოდ ფირმას ვატარებთ მთლიან ამიერ-კავკასიისას. რაც ფაქტიურათ არსებობს, უნდა ჩამოვაყალიბოთ იურიდიულ ფორმებში. თუ ეს არ მოხდა, ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას ხელს შეუშლის სხვადასხვა პირობები. არ არსებობს არავითარი კავშირი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და ჩვენ სხვადასხვა სახელმწიფოების ქალაქები გვინდა დავუკავშიროთ ერთმანეთს. ამით დარღვეული იქნება ყოველივე სახელმწიფოებრივი უფლება. ფაქტიურათ შეუძლებელია კავშირის არსებობა. მაგალითად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით არ შეიძლება რესპუბლიკის გარეთ საქონლის გატანა. და რომ ჩვენს კავშირში შედიოდეს რომელიმე სხვა რესპუბლიკის ქალაქი, ჩვენ მაინც მას ვერ გავუწევდით შესაფერ დახმარებას. მალე ერობა დაარსდება საქართველოში, რომელიც უნდა შეუერთდეს ქალაქთა კავშირს. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს კავშირს საქართველოს ფარგლებში და როდესაც დადგება დრო და შეგვეძლება —დავუკავშირდებით სხვა რესპუბლიკების ქალაქებს. რაც შეეხება კავშირის გაეროვნებას, უნდა ვსთქვათ, რომ ნაციონალიზაციის გატარება ეხლა შეუძლებელია კავშირში. ჩვენ გვესაჭიროება პრაქტიკული მომუშავენი, ასეთი კი ჩვენ ქართველები საკმაოთ არ მოგვეძებნებიან და არსებული საქმის აპარატს ვერ მოვშლით დაუყოვნებლივი ნაციონალიზაციის გულისათვის.

**გოფმანი** (ს. რ.) აღნიშნავს, რომ თუ დღეს ყრილობაში მონაწილეობას არ იღებენ ბაქოს და ერევნის წარმომადგენელნი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ კავშირში დარჩენა არ სურთ. მათი ჩამოსვლა შეუძლებელი არის საერთო მდგომარეობის გამო. რათ გინდათ დაარღვიოთ ის, რის აშენებასაც მომავალში უნდა შეუდგეთ. წინადადებას იძლევა არ დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის კავშირი, არამედ—სექცია დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისაო.

**მ. რუსია** (ს. დ.). ჩვენ ფაქტიურათ დავშორდით ადერბეიჯანს და სომხეთს. სამი მეოთხედი წელია, რაც ჩვენ ერთმანეთს რადიოთი თუ ველაპარაკებით. ისე მოწყვეტილი ვართ და თუ ჩვენ ასე განვაგრძობთ, ეს დემოკრატიის ინტერესების შელახვა იქნება. დემოკრატიას არ შეუძლიან მარტო რადიოთ კავშირის დაჭერა და თუ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით, მაშინ ჩვენ თითონ დემოკრატიასთან მარტო რადიოთ დამოკიდებულება გვექნება, უკანასკნელი ჩვენ ჩამოგვშორდება. რა საჭიროებას შეადგენს სექციის არსებობა, როდესაც მთელი აღარ არსებობს. ეს ხომ ცარიელ ქაღალდზე იქნება. ამ ომმა ინტერნაციონალი დაარღვია. ეს ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოხდა, ეს საერთო პოლიტიკურმა პირობებმა გამოიწვიეს. ჩვენ გვეუბნებიან: მოიცადეთო. როდემდის უნდა იცადოს დემოკრატიამ. თუ შესაძლებელი გახდება კავშირის დაჭერა სხვა რესპუბლიკის ქალაქებთან და თუ ჩვენ მაშინ უკან დავიხიოთ, მაშინ გვისაყვედურეთ.

**ხუნდაძე** (ს. ფ.) ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირი არ არსებობს ფაქტიურათ. აქ მარტო საქართველოს ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა არის. თუ არ არსებობს სახელმწიფოებს შორის რაიმე კავშირი, თუ ისინი ერთმანეთს მოწყვეტილნი არიან, მაშინ განა შეიძლება ქალაქთა კავშირი ამ რესპუბლიკებისა. ეს ხომ ეწინააღმდეგება პრინციპს სახელმწიფოს უფლებისას.

**იანოვიჩი** იურიდიულათ მთელი ქონება ეკუთვნის ყველა ქალაქებს. როგორ უნდა მოიქცეთ და რა უნდა უთხრათ მათ, ვისაც არ შეუძლია მოვიდეს. აქ თქვენ გრძნობთ, რომ ხართ ვალდებულნი მისცეთ პასუხი რუსეთის ქალაქთა კავშირს. შემოაქვს წინადადება იქნას ხელმეორეთ მოწვეული ყრილობა, სადაც დაესწრებიან სხვა ქალაქთა წარმომადგენელნიც და მაშინ გადასწყდება ეგ საკითხი ეხლა კი, დარღვევა კავშირისა, ეს დემოკრატიის თვით მკვლელობა იქნებაო.

**ნ. ელიავა.** ზოგიერთები აღნიშნავდენ, რომ ფორმალურათ არ გვაქვს უფლება ეს კითხვა გავარჩიოთ ამ კრებაზედო. დღიურ წეს-რიგში დასმულია ქალაქთა კავშირის მომავალ არსებობა, ამ ყრილობას აქვს ფორმალურათ უფლება გადასწყვიტოს ეს კითხვა. რაც შეეხება კავშირის ქონებას, უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ქონება სამხედრო ქალაქთა კავშირის კუთვნილებაა. ყოველივე ქონება ამ კავშირისა სახელმწიფომ თავის კუთვნილად გამოაცხადა მაგალ. მთავრობის დადგენილებით კავშირს არა აქვს უფლება ამ ქონების სხვაგან გადატანის, გაყიდვის და სხვ. ქალაქთა კავშირს სხვა ქონება არ მოეძებნება. არსებობა ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირისა ეს ფაქტია. თუ დღეს აქ სხედან სომხები, ესენი საქართველოს ქალაქთა წარმომადგენელნი არიან. სომხეთის და ადერბეიჯანის ქალაქები მოკლებულნი არიან სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენთან მუშაობას. აქ ჩვენ გვისაყვედურებენ პროლეტარიატის ღალატს. იანოვიჩმა მგონია იაფი ეფექტისთვის დაათავა სიტყვა, რომ ჩვენ ვღალატობთ ლოზუნგს „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“! უნდა მოვახსენო, რომ ჩვენ პროლეტარიატს ინტერნაციონალის შემწეობით ვუახლოვდებით და არა ქალაქთა კავშირებით თუ ჩვენი რესპუბლიკები შეჰკრავენ კავშირს მაშინ გვექნება ლაპარაკი მომავალ კავშირზე. მაშინ შეგვიძლიანთ გვისაყვედუროთ თუ ჩვენ სწორ გზას გადავუხვევთ.

**თარხანოვი** (ს. რ.) წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის დაარსებისა. მისი აზრით ფორმალურათ არ აქვს უფლება ერთ ნაწილს გამოაცხადოს დარღვეულად მთელი. აღნიშნავს, რომ ეკონომიურათ არაა სასარგებლო ცალკე საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი.

**ამირხანოვი** (დაშ.). არ ეთანხმება მომხსენებელს და ამბობს, რომ არავითარი მორალური უფლება არ გაქვთ დაარღვიოთ მთლიანი ორგანოო.

**ხუდადოვი** (ს. რ.) უსაყვედურებს მომხსენებელს მარტო ფორმალურ მხარეს ნუ აქცევთ ყურადღებასო. მისი აზრით, საჭიროა საქართველოს რესპუბლიკათა კავშირის სექციამ დაგზავნოს აგენტები სხვადასხვა ქალაქებში, რომლებიც მიიღებენ ყოველივე ზომებს ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირის აღსადგენათ.

**ა. ფალეევი** ეთანხმება მომხსენებელს. მისი აზრით, საჭიროა ეხლავე ჩამოყალიბდეს იურიდიულ ფორმაში საქართველოს რესპუბლიკათა კავშირი. მისი აზრით, ცარიელი ფირმა ამიერ-კავკასიის არევ-დარევას იწვევს საქმის ნაყოფიერ წარმოებაში. შეიძლება ზოგს აშინებს, რომ საქართველოს რესპუბლიკათა კავშირის დაარსებას მოყვება მისი გაეროვნება, რომელიც ზიანს მოუტანს საქმის წარმოებას და კარგათ მსვლელობას. ჩემის აზრით, ეს შეუძლებელია მოხდეს. ჩვენ საქმე რუსულ ენაზე უნდა ვაწარმოვოთ, რასაკვირველია, თუ ვინმე ქართულ ენაზე მოგვწერს ქაღალდს ჩვენ ქართულათვე ვუპასუხებთ. ყველა განყოფილებაში გვეყოლება ქართული ენის მცოდნე, რომელიც აწარმოებს ამ ენაზე მიწერ მოწერას.

კამათი შესწყდა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს, რომელიც იცავს თავის მოხსენებაში წამოყენებულ დებულებებს. კრებას ორი რეზოლიუცია წარუდგინეს ესერების და მომხსენებლისა. პირველი რეზოლიუცია მოითხოვდა საქ. ქალ. სექციის დაარსებას. გავიდა მეორე შემდეგი რეზოლიუცია მ. რუსიას დამატებით: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ პოლიტიკურმა პირობებმა გაყვეს ამიერ კავკასია სამ რესპუბლიკათ და შეუძლებელი გახდა, რომ სხვა რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელთ მიეღოთ მონაწილეობა ყრილობაში, არსებობა ქალაქთა კავშირისა ფაქტიურათ დაირღვა მხოლოდ სახელი, ფირმა რჩება ამიერ კავკასიისა, რაც არ სასურველია და ხელს უშლის საქმის ნორმალურ მსვლელობას. ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ეს დაარსება ყველა რესპუბლიკის ფარგლებში დამოუკიდებელი ქალაქთა კავშირებისა. ამის გამო ყრილობა აცხადებს მთავარ კომიტეტს გაუქმებულათ და ყრილობას დახურულათ“.

იმავ საღამოს გაიხსნა დამფუძნებელი კრება საქართველოს ქალაქთა კავშირისა. რომელზედაც მოხდა არჩევნები მთავარ კომიტეტისა, სარევიზიო და სარედაქციო კომისიებისა.

## საფეიქროში

1

ყურთა სმენა აღარ არის,
გრიალებენ მანქანები;
გრიალებენ, ტრიალებენ,
ისმის შრომის სიმღერები!

2

აქ ერთს წუთსაც შეუძლოა
დაფიქრება, დანაღვლება;
აქ სიცოცხლის დუღილია,
აქ არს ჩვენი განახლება!

3

ვისაც გული მძიმედა აქვს,
ვისაც ჯავრი ჰსურს გაიქროს,—
ყური უგდოს ამ ჩვენს გუგუნს,
მოაშუროს საფეიქროს!

გ. ქუჩიშვილი.

## სოციალური მედიცინის კითხვები

(დასასრული).

მოსკოვის მაგალითი უფრო მისაღებია ჩვენთვის, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ პირველი კადრის მოწვევის დროს ერობა თავისუფალია ისე იმოქმედოს, როგორც ის ამას დაინახავს საჭიროდ. შემდეგ კი, როცა შეიქმნებიან კოლეგიალური ორგანოები, რასაკვირველია, მათთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს საექიმო პერსონალის მიღება-დათხოვნა. ამ საკითხზე იმიტომ შევჩერდი, რომ ის შეიძლება ჩვენშიაც გამწვავდეს ზოგიერთ ადგილებში. ამის ნიშნები უკვე არის. მე მხედველობაში მაქვს ქუთაისის საგუბერნიო საექიმო განყოფილების განახლების დროს მომხდარი ინციდენტი. იქ უთანხმოება მოხდა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს და ექიმთა კორპორაციას შორის. მეორე მაგალითი რკინის გზაზე იყო და არის კიდევ, სადაც ექიმები ებრძვიან მოსამსახურეთა უმაღლეს ორგანოს— რკინის გზის უმთავრეს კომიტეტს. აი სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ ჩვენ გვქონდეს გარკვეული შეხედულება ამ საგანზე. მე სავსებით ვიზიარებ მოსკოვის ინსტრუქციის დებულებას ამ საგნის შესახებ. მხოლოდ თუ კონფლიქტს ექნება ადგილი, მაშინ საკითხს სწყვეტს ერობა, როგორც საექიმო-სასანიტარო საქმის ბატონი, სუვერენული ორგანო. როცა ამაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ძლიერ ანსხვავებს საქართველოს რუსეთიდან. საქმე იმაშია, რომ თვითმპყრობელ რუსეთში, სადაც ერობა თავად-აზნაურული იყო, ექიმთა კორპორაცია წარმოადგენდა ოპოზიციას, დემოკრატიულ მიმართულების და ყოველთვის უფრო მარცხნივ იდგენ, ვინემ საერობო და ქალაქთა თვითმმართველობები. საქართველოში კი არ არსებობს და არც არის მოსალოდნელი ამ მოკლე ხანში ისეთი თვითმმართველი ორგანო, რომელიც არსებულ ექიმთა კორპორაციებზე უფრო რევოლიუციონური არ იყვნენ. ასე რომ პროფესიონალურ ორგანიზაციების უფლებათა შემღალვაზე ლაპარაკი დღეს ჩვენში შეუძლებელია.

**საგუბერნიო საექიმო-სასანიტარო საბჭო.**

პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზები აიძულებენ სამაზრო ერობებს უფრო მსხვილ ერთეულებში გაერთიანებას. საგუბერნიო გაერთიანება ეხლავე უნდა მოხდეს. ამიტომ, სანამ განვიხილავდე საგუბერნიო საბჭოს ინსტრუქციას, საჭიროთ ვრაცხ ორიოდე სიტყვა ვსთქვა თვით საგუბერნიო ერობის საჭიროების შესახებ. ამ საკითხის შესახებ ორი მიმდინარეობა არსებობს ჩვენს მმართველ წრეებში. ერთნი ამბობენ, რომ მთელი საქართველო თავისი სივრცით და ბიუჯეტით არ აღემატება რუსეთის ზოგიერთ საგუბერნიო ერობასო და ამიტომ უარყოფენ საგუბერნიო ერობის საჭიროებას, რომელიც მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს მოგვიტანსო. მეორენი იცავენ საგუბერნიო ერობის საჭიროებას და მოყავთ თავისი აზრის დასამტკიცებლათ კულტურული და გეოგრაფიული განსხვავებანი, რომელნიც არსებობენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს შორის. მე ვფიქრობ ეს მოტივები სრული საკმარისია, რომ საგუბერნიო ერობამ იარსებოს. მართლაც და ვისთვის შეადგენს საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ ქუთაისის გუბერნია ბევრათ მაღლა დგას ტფილისის გუბერნიაზე პოლიტიკური შეგნებით და კულტურული განვითარებით. თვით ერობის არჩევნები ამტკიცებს ამას. ტფილისის გუბერნიაში ჯერ არ დაწყებულა არჩევნები, ქუთაისის გუბერნიაში კი ოთხ მაზრაში უკვე დამთავრდა. რაც შეეხება გეოგრაფიულ პირობებს, ამის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ რუსეთში 10—15 გუბერნიის მანძილზე არ იქნება იმდენი განსხვავება, რამდენიც ამ ორ გუბერნიას შორის არის, მაგრამ საგუბერნიო ერობის არსებობა სხვა მოსაზრებითაა კიდევ საჭირო. დღეს-დღეობით ქუთაისის გუბერნიას პოლიტიკურ და კულტურულ ხელმძღვანელობას უწევენ საგუბერნიო რევოლიუციონური ორგანოები. ასეთი ხელმძღვანელობა ახალგაზრდა სამაზრო ერობებისათვის ფრიად საჭირო იქნება. თავის თავად ცხადია, რომ რაც ახლოს იქნება ხელმძღვანელის ცენტრი, მით უკეთესია. ამ მხრით ქუთაისი მშვენიერ პირობებში იმყოფება. გუბერნიის ყველა დაბა ქალაქებიდან თითქმის მუდამ დღე უხდებათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ქუთაისში ყოფნა კერძო ან საზოგადო საქმისათვის. ტფილისში კი ისინი ძლიერ იშვიათად ჩამოდიან. ასე რომ ქუთაისში შესაძლებელი იქნება სულ ხშირად გამართოთ საერობო მოღვაწეთა ყრილობები. ტფილისში რომ მოიწვიოთ ისინი, ძვირიც დაჯდება და ბევრ დროსაც მოითხოვს, ნამეტურ ეხლანდელი გაძნელებული მიმოსვლის დროს. გარდა ამისა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დროებით დებულებაში მიღებულია საგუბერნიო ერობა და თუ ეს შეცვლილი იქნა, ეხლა უსათუოდ შეაფერხებს ერობის დროზე შემოღების საქმეს. ამიტომ სასურველია საგუბერნიო ერობა აუცილებლათ შენახული იქნეს და მისი გაუქმების შესახებ მსჯელობა გადატანილი იქნეს სრულიად საქართველოს საერობო ყრილობაზე.

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ გადავდივარ საგუბერნიო სასანიტარო საბჭოს კონსტრუქციის განხილვაზე. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საგუბერნიო საექიმო-სასანიტარო ცენტრი საჭიროა. საერობო მედიცინა ჩვენში ახალი ხილია. გამოცდილი ინსტრუქტორები ჩვენში თითო ოროლა მოიპოვებიან. ამიტომ საჭიროა კოლექტიური მუშაობა ცენტრში, რათა შემუშავებული და ჩამოყალიბებული რჩევა-დარიგება მიეცეს პროვინციაში მომუშავე საექიმო პერსონალს. ქუთაისმა ამ მხრით უკვე გადადგა გაბედული ნაბიჯი, რაც გამოიხატა საგუბერნიო საექიმო სამმართველოს რეორგანიზაციაში. თუ ამ საგუბერნიო სასანიტარო სამმართველოს მოაწყობს ერობა რუსეთის ერობის მაგალითების მიხედვით, მაშინ, მე ღრმათ მწამს, სანიტარიის საქმე თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მუხლები მოსკოვის საგ. სას. საბჭოს ინსტრუქციიდან. 1) საგუბერნიო საერობო გამგეობასთან არსებობს საგ. სასანიტარო საბჭო, რომელსაც აქვს მიზნათ სამაზრო სასანიტარო ორგანიზაციათა გაერთიანება, მათი დახმარება და მიზანშეწონილი განვითარება საექიმო სასანიტრო საქმისა გუბერნიაში. 2) საგუბერნიო სასანიტრო საბჭოს შეადგენენ: თავმჯდომარე და წევრები საგუბერნიო საერობო გამგეობისა, (მოსკოვის) ქალაქის გამგეობის თავმჯდომარე, საგუბერნიო საერობო ხმოსნები, რომლებიც არჩეული იქნებიან საგუბერნიო ყრილობის მიერ სამი წლის ვადით, რიცხვით ექვსი კაცი, სანიტარული და საუბნო ექიმები, რომლებიც საგუბერნიო ყრილობის მიერ არჩეული არიან სამი წლით, რიცხვით ხუთი, ორი ვეტერინარული ექიმი, აგრეთვე საგუბერნიო ყრილობის მიერ არჩეულნი იმავე ვადით და საგუბერნიო საერობო სასანიტარო ბიუროების გამგეები. 3) საგუბერნიო სასანიტარო საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმით იწვევენ საჭიროების და მიხედვით სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს, ცოდნის სხვადასხვა დარგთა წარმომადგენლებს; სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარეებს, საერობო ექიმებს და საზოგადოთ ისეთ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ განსახილველი საკითხების გაშუქებაში და სანიტარულ ზომების პრაქტიკულათ განხორციელებაში.

მომყავს მხოლოდ ეს სამი პარაგრაფი მოსკოვის საგ. სან. საბჭოს ინსტრუქციიდან. რაც შეეხება ფუნქციებს, საბჭო არის უმაღლესი სანიტარული ორგანო გუბერნიაში. ის იხილავს ყოველივე საექიმო-სასანიტარო საქმეებს, აგროვებს სტატისტიკურ მასალას და დირექტივებს აძლევს სანიტარულ ბიუროებს, ანაწილებს მუშაობას სანიტარულ ექიმებს შორის, თვალყურს ადევნებს, რომ სანიტარული დადგენილებანი ცხოვრებაში გატარდეს, იკვლევს გუბერნიაში გავრცელებულ სნეულებებს და სხვადასხვა საგუბერნიო საბჭო ანგარიშს უდგენს საგ. საერობო ყრილობას [illegible] და საგუბერნიო [illegible] საჭირო [illegible] ერთი სიტყვით, [illegible] ორგანო მთელ გუბერნიაში საექიმო-სასანიტარო საქმის.

საბჭოს შემადგენლობაში ჩვენ უნდა შევიტანოთ ისეთივე შესწორება, როგორიც სამაზრო საბჭოების კონსტრუქციაში შევიტანეთ, ე. ი. საბჭოში უნდა შევიდენ საშუალო და დაბალი საექიმო პერსონალის წარმომადგენელნი.

**საგუბერნიო სანიტარული ბიურო**

საბჭო შეიკრიბება პერიოდულათ, რამოდენიმე ჯერ წელიწადში. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა საგ. საბჭოს ყავდეს თავისი მუდმივი აღმასრულებელი ორგანო. ასეთ ორგანოებათ რუსეთის ერობაში ითვლებიან სანიტარული ბიუროები. სანიტარული ბიუროები არ არსებობენ ყველა ერობებში. პირველათ ასეთი ბიურო შემოიღო მოსკოვის ერობამ 1875 წელს, შემდეგ, 1878 წ. პეტროგრადისამ და მერმე ბევრმა სხვა მოწინავე ერობებმაც. ამ ბოლო დროს ყველა ერობებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სანიტარიაზე ზრუნვას, რამაც გამოიწვია სან. ბიუროების დაარსება. ჩვენში არსებობს მხოლოდ სამკურნალო მედიცინა. რადგანაც პროფილაქტიური მედიცინაზე არავინ ზრუნავდა. საზოგადოთ ისტორიულათ ჯერ ვითარდება სამკურნალო მედიცინა და შემდეგ პროფილაქტიური. სანიტარია უფრო მაღალი საფეხურია მედიცინის განვითარებაში ვინემ სამკურნალო მედიცინა. ჩვენს სამშობლოში ისეთი სნებია გავრცელებული, რომ მხოლოდ ფართო სანიტარული ზომებით შეიძლება მათთან ბრძოლა უდიდესი ჩვენი ეროვნული სნეულება არის მალარია. მალარიას მოსპობს მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ, რაც დაამტკიცა იტალიის და სხვა ქვეყნების მაგალითებმა. ამიტომ ჩვენმა ახალგაზრდა ერობამ რაც შეიძლება მალე უნდა შექმნას განსწავლული სანიტარული ექიმების კადრი ყოველ მაზრაში. პირველ ხანებში სამაზრო ერობებმა შეიძლება ეს ვერ მოახერხონ სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ მუდმივი საგუბერნიო სანიტარული ორგანიზაცია აუცილებლათ დაარსებული უნდა იქნეს. საერობო თანხიდან ღებულობს ჯამაგირს საგ. ექიმის ერთი თანაშემწე, რომელიც განაგებს სასოფლო—საექიმო ნაწილს. ერობის შემოღების შემდეგ ეს თანამდებობა გაუქმებული იქნება და ამ ფულით ერობამ უნდა მოიწვიოს საგუბერნიო სასანიტარო ექიმი, რომელიც იქნება საგუბერნიო სასანიტარო ბიუროს გამგე და მუდმივი მდივანი საგ. სასანიტარო საბჭოსი. რასაკვირველია, ერთი ექიმი ვერ შესძლებს სათანადოთ შეასრულოს საჭირო მუშაობა და მას თანაშემწეები უნდა მიეცეს მით უმეტეს, რომ სამაზრო სასანიტარო ექიმების მოწვევა ამ მოკლე დროში არ მოხერხდება. საგუბერნიო ექიმი და ერთი მისი თანაშემწე ინახებიან დღეს სახელმწიფოს ხარჯზედ და ითვლებიან შინაგან სამინისტროს სამსახურში. სასურველია, რომ ერობამ აღძრას საკითხი, რათა ეს ექიმები გადავიდენ საგ. საერობო გამგეობის განკარგულებაში იმ პირობით, რომ ფული კვლავინდებურათ ხაზინამ იძლიოს სანამ გამოვიდოდეს ახალი კანონი საექიმო სასანიტარო საქმის მოწყობის შესახებ რესპუბლიკაში.

„საგუბერნიო სასანიტარო ბიურო, როგორც სპეციალური განყოფილება საგუბერნიო სამმართველოსი, არის აღმასრულებელი ორგანო საგუბერნიო სასანიტარო საბჭოსი და აქვს თავის უმთავრეს დანიშნულებათ შეკრება, დამუშავება და გამოცემა სასანიტარო სტატისტიკური მასალებისა გუბერნიის შესახებ განსაზღვრული ფორმით და განსაზღვრული წესით“. სანიტარული ბიუროს გამგე ექიმს უნდა ქონდეს სპეციალური მომზადება სასანიტარო სტატისტიკის სფეროში. ბიუროს ევალება საგუბერნიო საბჭოს რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარება. ბიუროს გამგე ექვემდებარება რომელიმე გამგეობის წევრს ან გამგეობის თავმჯდომარეს, რომლის მონდობილობით და ხელის მოწერით გამოდის ბიუროდან ყოველივე მიწერ მოწერა. მხოლოდ ექიმებთან მიწერ-მოწერას ავტონომიურათ აწარმოებს ბიუროს გამგე.

დაწვრილებითი განხილვა ბიუროს ფუნქციებისა შორს წაგვიყვანდა; ზემო ნათქვამიდანაც ნათელია ამ ორგანოს დაარსების აუცილებლობა.

საგუბერნიო ყრილობა ერობათა და საექიმო პერსონალის წარმომადგენელთა იქნება კანონმდებელი ორგანო საექიმო სასანიტარო სფეროში და უნდა ხდებოდეს წელიწადში ერთხელ.

ამით ვათავებ საერობო მედიცინის ორგანიზაციის შესახებ წერილს. შემდეგში განვიხილავ, თუ რა დაუჯდება ჩვენს ერობას ეს ახალი ორგანიზაცია.

ექიმი ნ. რუხაძე.

# ს.-დემ. პარტიაში

ალექსანდროპოლის რკინის გზის რაიონის სოც.-დემ. კოლექტივის ხაზინადარის საყურადღებოთ: ალექსანდროპოლის ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო დარჩენილი ფული უნდა ჩაბარდეს სამხარეო კომიტეტს. ამიტომ გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენზე დარჩენილი ფული და საანგარიშო წიგნი, რომ საშუალება გვქონდეს სრული ანგარიში მოვათავსოთ გაზეთში.

ალექ. ორგანიზ. ხაზინადარი
ალ. გიგიბერიძე.

—

სუფსა (გურია). 8 სექტემბერს შესდგა სუფსის რაიონის ს. დ. კოლექტივის კრება. კრებამ იმსჯელა ცნობილ კონტრ-რევოლუციონერ სევო მიქანაძის შესახებ, რომელსაც 5 თვეზე მეტია, რაც ადმინისტრაციული ძალა დაეძებს და შემთხვევით იქნა დაჭერილი სად. სუფსაში. მოხსენდა რა კრებას, რომ ცნობილ მიქანაძის მოტყუილებით და მოხერხებით შე[illegible]დომაში შეუყვანია მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი და მთავრობის მანდატით საგანგებო რწმუნებულთან ერთად მიემგზავრებოდა უკრაინაში, რის შესახებ დაუყონებლივ ეცნობა სამაზრო კომიტეტს დეპეშით საქმის ვითარება. კრებამ აირჩია საგამომძიებლო კომისია, რომელმაც სასწრაფოთ უნდა შეკრიბოს ყოველგვარი ბრალდებები მიქანაძეზე და წარუდგინოს სადაც ჯერ არს.

კრებამ გამორიცხა პარტიიდან ვანო ბოსელია, გაბრიელ რამინაიშვილი, თეოფილე რუსიძე, მიხაკო სარჯველაძე და ოქროპირ ჭანტურია საჩხერეში საგანგებო რაზმში ყოფნის დროს სხვადასხვა დანაშაულობის ჩადენისათვის.

სამხედრო შტაბის და დამფუძნებელი კრების ვალების გასასწორებლად არჩეულ იქნა რაიონ. სალიკვიდაციო კომისია.

საკითხი იყო იმის შესახებ, რომ ჟურნალ-გაზეთები არ მოდის თავის დროზე ან სულ იკარგება. კრებამ დაადგინა ჟურნალ-გაზეთების გავრცელება ხალხში თვით კოლექტივმა იკისროს და არა ვინმე კერძო პირმა. ეცნობოს კანტორა—„განათლებას“, რომ უდროო დროს და უმიზეზოდ ნუ შესწყვეტენ გაზეთების გზავნას. თვით კოლექტივი კი ვალდებულად იხდის თავს ყოველი 15 დღის წინ გაგზავნოს ხვედრი ფული.

X.

—

**აბაშის (სენ. მ.) სარაიონო ს.-დემ. მ. პ. კოლექტივის ანგარიში.** კოლექტივი არსებობს გასული წლის მარტის დამლევიდან. მის შემადგენლობაში შედიან შემდეგი საზოგადოების პარტიული ორგანიზაციები: კვათანის, ნოსირის, მარანის, სამიქაოს, ონტოფოს, სეფიეთის, აბაშის და ნაესაკოვის. სარაიონო კასას შემოდიოდა საწევრო გადასახადი, კერძო შემოწირულება და წარმოდგენებიდან დარჩენილი ფული. მისივე განკარგულებაში იყო დ. აბაშის პარტიული კლუბი, რომელიც ქირავდებოდა კერძო პირებზეც. დღიდან დაარსებისა შემოსავალ-გასავალი ასეთი ყოფილა: 1) საწევრო გადასახადიდან 2,256 მ. 29 კ.; 2) პარტიულ კლუბიდან 1,493 მ. 37 კ.; 3) ერთდროული შემოწირულება დამფ. კრების სასარგ. აგიტაციისათვის 2,811 მ. [illegible] კ. სულ 6,531 მ. 24 კ.

გასავალი: შემოსავლის 20 პროცენტი გაეგზავნა საოლქო კომ. და სამაზრო კომ., პროპაგანდისტებს, სამგზავროთ კოლ. წევრებს, კლუბის საჯდომებს, საარჩევნო ბიულეტენებს. თფ. გაგზავნილ დელეგატებს და სხ. წვრილმანებს მოუნდა 6,320 მ. 21 კ. დაწვრილებითი ანგარიში ეგზავნება ს. დ. სამაზრო კომიტეტს. ამ ჟამად კასაშია 211 მ. 3 კ.

კოლექტივის ხაზინადარი
ლავრ. ჭუმბურიძე.

# მუშათა შორის

**საქართველოს რადიო-დეპეშათა სამმართველო.** დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, სამხედრო მინისტრმა ჩვენი სამმართველო მიიღო თავის განკარგულებაში და შტატებიც დროებით დაამტკიცა.

მიუხედავად ჩვენი ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა აქვე კომიტეტიც იქნა დაარსებული, მაგრამ რა საქმის გამკეთებელია მხოლოდ დამტკიცება—დაარსება, თუ ყოველივე გადაწყვეტილება ცხოვრებაში არ იქნება გატარებული; რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მხოლოდ ლაპარაკს საერთო საქმისთვის ან მუშა მშრომელს, თუ მის ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლის რაღაც ორი სამი ძველი სენით გაჟღენთილი პიროვნება? საქმეებში ისე არის არეული, რომ ძაღლი „პატრონს ვერ ცნობილობს“.

სამმართველოს უფროსად დანიშნულია ინჟ. ანდრონიკაშვილი, რომლის პატრონობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მხოლოდ როგორც ადმინისტრატორის, სიმართლე უნდა ვსთქვათ, სისუსტე ეტყობა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მას მთელი დღე ერთი სამინისტროდან მეორეში უნდება სიარული, მას იმდენი დროც კი არ რჩება, რომ საქმეს უფრო ახლოს გაეცნოს. ამითი სარგებლობს მისი თანაშემწე ი-წ-ვა და მთელი სამმართველოს საქმეებს ისე აბრუნებს, განაგებს, მისი დამხმარებელი შიკრიკი ბ-ლ ჩის შემწეობით, როგორც მოესურვება. ვისაც უნდა ღებულობს, ითხოვს ვინც მოეწონება, ჯამაგირს უნიშნავს და თუ ღმერთი გაუწყრა კომიტეტის წევრთაგანს ან მუშას და სიმართლე სთქვა, იმას ხომ არ გააჩერებს.

სხვათა შორის, აქ ჩვენს სამართველოსთან სკოლაა, სადაც სხვადასხვა ნაწილებიდგან მოგროვილი ჯარისკაცები იმყოფებიან, რომლებსაც რადიო დეპეშა სპეციალისტობა შეასწავლონ. სიმართლე რომ ვსთქვათ, „ასწავლიდენ“, რადგან უმრავლესობა გარდა რამდენიმე პიროვნებისა, რასაკვირელია რომელნიც მას მოსწონს. უკანვე იქნენ გაგზავნილი თავიანთ ნაწილებში, მისი სიტყვით—„როგორც უვარგისნი“, მაგრამ როგორც უმრავლესობამ ვიცით, უფრო მისთვის, რომ აქ იმ დროს, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობა გამოაცხადა ჩვენმა მთავრობამ, რუსებისაგან მისალები შეიქნა მთელი ქონება. (ფრონტიდგან მოზიდული). მაშინ ბ-წ-ვას მრავალ ადგილზე „ძაღლის თავები შეიქმნა დამარხული“ რაიც არა ერთხელ წამოაძახეს კიდეც მას მოწაფე ჯარისკაცებმა, რის გამო ბ. წ-ამ ისინი თითო ოროლად გაისტუმრა ძველ ადგილებისაკენ ის ნახევრად მომზადებული პირები და ეს ისეთ დროს, როდესაც მცოდნე სპეციალისტების ასეთ კრიზისს განიცდის ჩვენი ნორჩი ქვეყანა.

ეს დაწესებულება აგერ სამი თვეა ეწყობა და კიდევ ვერ მოწყობილა, რადგან, საქმის მხრით თითქმის არავინ არას აკეთებს, როგორც მოგახსენეთ ინჟ. ანდრონიკაშვილი სულ გარეთ სიარულს უნდება, ბ-წ-ვა უსარგებლო ფხაკურ ყვირილს, კანცელიარიის მმართველი ძველი პოლიციელივით ქაღალდების ტანჯვას, რის გამოც საქმე არც კანცელარიაში და არც სახელოსნოში მოწესრიგებული არ არის და საწყობზე სხვა რამეზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ნეტავ ვიცოდეთ მაინც, თუ როდემდის უნდა გასტანოს ასე უთავოდ მოქმედებამ ისეთ სერიოზულ დაწესებულებაში, როგორთაგანსაც ეს ჩვენი სამმართველო შეადგენს? ან სად არიან ნეტავი მომარაგების კომიტეტის მმართველნი? განა იმათ ცოტა ქონება უყრიათ აქ?

ჩვენ რომ გვკითხონ, უფრო სასარგებლოდ კი მიგვაჩნია მეტი ყურადღების მოპყრობა, ვისგანაც ჯერ არს, რომ მით ყველაზე უფრო საჩქაროდ კანტროლი იქნეს დანიშნული, რომ გავიგოთ რა გვქონდა, რა არის და რა გვაკლია, თუ ვინ მიისაკუთრა; ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს მიჩენილი აღნუსხული უფლებებით, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ ძველების „ლაქიობა-ნათლიმამობას“ ბოლო მოეღოს და მაშინ ჩვენც გვექნება სრული იმედი, რომ მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს.

ისევ ის ვარის შვილი.

# პროვინცია

**ავლაბარი.** თფილისის არც ერთი ნაწილი არაა ისე ჩამორჩენილი, როგორიც არის ავლაბარი. აქ პირველი ალაგი უჭირავს ლოთობას, გაზეთის კითხვა მოცლილი კაცის საქმეთ არის აღიარებული, სანიტარული პირობები არ არის დაცული, კომისარი ნაკლებათ ასრულებს თავის მოვალეობას და მის ხელქვეითებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ეს კუთხე სრულიად უპატრონოთ არის მიტოვებული და სწორეთ ამიტომ არის, რომ ყველა ჯურის ავაზაკთა ბუდეთ გამხდარა აქაურობა. ძნელია იმის აწერა, თუ რამდენ სისაძაგლეს და ბოროტებას აქვს ადგილი. საზღვარი არ აქვს სასადილოების პატრონთა თავგასულობას. დილის ექვსი საათიდან იწყება ხსენებულ მიკიტანხანებში არღნისა და სხვა დასაკრავთა არეული ჭყიპინი, გრძელდება ღამის ორ საათამდე. მოსამსახურეთა შრომის ინტერესები სრულიად მივიწყებული და აბუჩათ აგდებულია. მეტ ნაწილად სასადილოებში ინახავენ საეჭვო ზნეობის ქალებს. უნდა შევნიშნოთ, რომ აქვე მუშაობენ ბავშვები, ირყვნებიან ისინიც და მათგან კარგს არას უნდა მოველოდეთ ცხადია.

ყველა შანტაჟისტთა მოგებული ფულების სახარჯავათ ავლაბარი არის მიჩნეული. დაუსრულებელ ლოთობას და მის შედეგებსაც ფართო ადგილი აქვს დათმობილი. ყოვლად შეუძლებელია შეღამების შემდეგ კახეთის ქუჩაზე გავლა. როცა შევეკითხე ერთ-ერთ კომისარის თანაშემწეს, რატომ არ აქცევთ ყველა ამას ყურადღებას მეთქი მიპასუხა: თავი მოსაკლავათ არა მაქვს გამზადილი. ამით აიხსნება, ალბათ ის, რომ მთელი დღის განმავლობაში კომისარს ვერ ხედავთ იქ, სადაც ათასი უწესოება ხდება და თუ გამონაკლისი მოხდა, მაშინაც არავის არაფერს არ უშლის. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს.

გ. ვ.

—

**სოფ. შილდა** (თელავის მაზრა). სოფელი შილდა მთელ მაზრაში ყველაზე დიდია. წელს სამი ოთხი წლის მოსავალი მოვიდა ამ სოფელში, მაგრამ, საუბედუროთ, რამდენად ეს სოფელი მდიდარია პურით, ღვინით და საქონლით, იმდენად მეტი ჩამორჩენილია კულტურულად.

1 სექტემბერს მთელ მაზრაში იყო დანიშნული საერობო არჩევნები, არჩევნები უნდა მომხდარიყო ამ სოფელშიც. ცხრა საათია და ხალხი არ მოდის, მხოლოდ ზოგნი არიან დუქნებში და იქ ქეიფობენ. მოვიდა ამ რაიონში არჩევნების მომწყობი ინსტრუქტორი. მან მოსთხოვა კომისარს დავალებისამებრ ხალხისთვის თავი მოეყარა, კომისარმაც გამოუძახა დუქნებში მოვაჭრეთ და თავის ნებით გამოსულ ხალხს, შეიკრიბა სულ 150 კაცი. ქ. ჯანბერიძემ გააკეთა ერობის შესახებ მოხსენება და მოუწოდა ხალხს, რადგანაც ბევრმა დღევანდელი არჩევნებისა არ იცის, თქვენ რომ გაბრუნდებით, გადაეცით ყველას, რომ მოვიდნენ და მათაც ხმა მისცენო. მომხსენებელს ეკითხებიან, ჩვენი სოფლიდან რატომ ერთი კანდიდატი არ არის მაგ სიაშიო, მომხსენებელმა განუმარტა, თუ როგორ ასახელებს სხვადასხვა პარტიები კანდიდატებს ან და შეიძლებოდა თუ არა ყველა სოფლებიდან. ყოფილიყო თითო კანდიდატები დასახელებული, მით უმეტეს, რომ აქ, სოფლად არ მოგვეპოვება ისეთი პირები, რომლებთაც ერობის საქმე კარგათ გაეგება და პარტიამ საჭიროთ სცნო ცენტრიდან დასახელებია რამოდენიმე მომუშავე პირები, რომ გაუძლევს საერთო საქმეს კარგადო. ხალხი მაინც რამოდენიმე გაიძვერა პირების წყალობით გაიძახოდა—ჩვენ ხმას არავის არ მივსცემთო. ეს უკვე ადრე იყო ხალხში მოწყობილი რამდენიმე პირების წყალობით. ასე რომ, არჩევნები ვერ შესდგა მირონა ღვინიაშვილის, ი. უტუროვის და სხვების წყალობით. ამ ვაჟბატონებმა შესძლეს ხალხის არევა—ხმა აღარ მიაცემინეს, მაგრამ იმედია ხალხი გამოერკვევა და ასეთ პირებს თვითონ მოსთხოვს პასუხს.

კიჟო.

—

**ს. ონტოფო და სეფიეთი.** მთავრობამ გადასწყვიტა მთელი სოფლები მოჰფინოს ტელეფონით და ფოსტა-ტელეგრაფით. ასეთ გადაწყვეტილებას ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა და დღეს ტელეფონის გაყვანაზე სოფლებში გაცხარებული მუშაობაა. ყველა იმის ცდაშია რაიმე წვლილი შეიტანოს ასეთ დიად საქმეში. რაც შეეხება ფოსტის და ტელეგრაფის გახსნას, ამის შესახებ შესაფერ თხოვნებს აგზავნიან. თითქმის ყველა სოფელი მოითხოვს მის გახსნას და პირველ დროში საჭირო თანხასაც იღებენ იმ იმედით, რომ ცოტა ხნის შემდეგ მთავრობა თავისთავზე მიიღებს ხარჯების დაფარვას. ასეთი მისწრაფება ჩვენი სოფლებისა კულტურულ დაწესებულებებისადმი დიდათ სასიხარულოა, მაგრამ ერთს გარემოებას აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება. თუ ასეთი დაწესებულება იქნა გახსნილი ისეთ ადგილას, სადაც მისი მოთხოვნილება ნაკლებია და შემოსავლიდან მან ვერ შესძლო თავისი ხარჯების დაფარვა, მაშინ მთავრობა ასეთ პირობებში ვერ იკისრებს ხარჯებს. საზოგადოება კი ყოველ-წლიურ ხარჯებს ვერ გაუძლებს და დაწესებულება დაიხურება. ამისთვის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილს, სადაც არსდება ეს დაწესებულება. ის უნდა წარმოადგენდეს ცოტათ თუ ბევრად პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს ირგვლივ შემორტყმულ სოფლებისას, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ დაწესებულებას შეეძლოს შემოსავლიდან დაფაროს თავისი ხარჯები და ამით საზოგადოება გაანთავისუფლოს ზედმეტი გადასახადისაგან.

ხშირად ამა თუ იმ კულტურული დაწესებულების გახსნა კუთხურ ხასიათს ღებულობს. ყველას უნდა მაინცდამაინც თავის კარზე დადგას ის და არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ იქნას ის დაარსებული ისეთ ადგილზე, სადაც ხელმისაწვდომი იქნება და თვით დაწესებულების არსებობისათვის სასარგებლო და ამ ნიადაგზე დავა სოფლებთა შორის იწვევს ქიშპობას. ასეთ შემთხვევებში მთავრობის წარმომადგენელი, როგორც ნეიტრალური პირი, ყოველთვის შემთანხმებლად უნდა გამოდიოდეს. ის უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მეტი სოფელი ჩააბას ხარჯების გაწევაში, ამოარჩიოს ისეთი ადგილი დაწესებულების დასაარსებლად, რომელიც მისაწვდომი იქნება ყველასათვის და სასარგებლო თვით დაწესებულების განმტკიცებისთვის და სხვ.

მაგალითად მთავრობის წარმომადგენელს ონტოფოს და სეფიეთის სოფლებისათვის წინადადება მიუცია აღეძრათ შუამდგომლობა ამ სოფლებში ფოსტა-ტელეგრაფის დაარსების შესახებ. ეს სოფლები ერთმანეთზე დაშორებულია 2—3 ვერსით და ყოვლად შეუძლებელია ორივე მათგანში ფოსტის დაარსება. სეფიეთის საზოგადოებამ მაშინათვე აღუძრავს შუამდგომლობა ფოსტის გახსნის შესახებ ონტოფოსთან შეუთანხმებლად და ეს შუამდგომლობა აბაშის რაიონის ფოსტის უფროსს შესაფერი მოხსენებით წარუდგენია დასამტკიცებლად. სანამდე აბაშის ფოსტის უფროსი ამ საკითხს აღძრავდა, მას უნდა გაეთვალისწინებია შეუძლია თუ არა მარტო სოფ. სეფიეთმა აიტანოს გამოწვეული ხარჯები და მისაწვდომი იქნება თუ არა სხვა მახლობელ სოფლებისათვის იქ ფოსტის დაარსება. ამისათვის მას უნდა მოეხდინა შეთანხმება ახლო მახლო სოფლებია შორის, როგორც ხარჯების განაწილების, ისე ადგილის შესახებაც. ვინც ცოტათი მაინც იცნობს და გაუვლია ამ სოფლებში იტყვის, რომ ონტოფო იმ ახლო-მახლო სოფლების პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრია ის ერთ მოწინავე სოფლად ითვლება აბაშის რაიონში. აქ არსებობს პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, ორი ორ-კლასიანი სკოლა, ორი სამკითხველო, სასოფლო ბანკი, კოოპერატივი, აფთიაქი, სამეურნეო საზოგადოების განყოფილება, სასამართლო და სხვა. ამ სოფელში გროვდება ახლო-მახლო სოფლებში მიმავალი გზები და კიდევ ახლო მომავალში განზრახულია დაარსდეს წვრილი საერობო ერთეული, რომელშიაც შევლენ სეფიეთის და სამიქაოს საზოგადოებები და ნაწილი სოფ. აბაშისა და კადარისა. აქ ფოსტას სულ მოკლე ხანში შეუძლია შემოსავლიდან დაფაროს ხარჯები, რადგან როგორც ზევით ვთქვი თავისი მდგომარეობით და კულტურული დაწესებულების სიმრავლით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსტის შემოსავლისათვის, მაღლა დგას შედარებით სხვა სოფლებზე.

ეს, ფოსტის უფროსმა, თუ მას აქვს დაკისრებული მოვალეობა ასეთი შუამდგომლობის აღძვრისა, უნდა მიიღოს მხედველობაში. შეათანხმოს სოფლები ხარჯების გაწევაში და ისეთ ადგილას გახსნას ფოსტა, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები.

სენაკელი.

—

**ქ. სურამი.** თითქმის ერთი წელი სრულდება, რაც ქალაქ სურამში მეათე ქართული პოლკი დგას. სამწუხაროა, რომ ამ პოლკში აფიცერთა გარდა ჯარის კაცები არ მოიპოვება და თუ არის თითო ოროლა, ისიც ადგილობრივი, რომელნიც პოლკიდან ღებულობენ ტანისამოსს, საჭმელ-სასმელს და სახლში თავისი საქმეს აკეთებენ.

ამ დროს აუარებელი სახელმწიფო ქონება, რომელიც დღეს პოლკის ხელშია, ფუჭდება, საქონელი იხოცება მოუვლელობით და სხვა. დღეს, როგორც ხმა დადის, ამ პოლკს დაშლას უპირობს მთავრობა და ეს რაც უფრო მალე მოხდება, მით უფრო კარგია საქმისათვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პოლკის იმოდენა სიმდიდრე არ გაიფლანგოს და არ დაიკარგოს.

ამისთვის საჭიროა მთავრობამ ეხლავე ქონების მიმღები ვინმე დანიშნოს.

უკეთესი იქნება, რომ მთავრობა ამას სურამის ქალაქის თვითმართველობას მიანდომებდეს, რადგან მან უფრო კარგათ იცის, თუ რა სიმდიდრე მოეპოვება პოლკს.

— ამ უკანასკნელ ხანებში სურამში მკვლელობა ძლიერ გახშირდა და ეს მას შემდეგ, რაც საგამომძიებლო კომისიამ მოხუცი ნოდიასი მკვლელი მიჩქმალა.

15 აგვისტოს თავის სახლში სასიკვდილოთ დასჭრეს რაჟდენ ბროძელი. ბროძელი ექიმბაში იყო. წამლობდა განსაკუთრებით თურმე ვენერიულ ავადმყოფთ.

10 ენკენისთვეს ადგილობრივ საკრებულოს პატრონ კ. ნოდიას რევოლვერი გავარდნია და სასიკვდილოთ დაუჭრია თავისი ძმა ერ. ნოდია, რომელიც მალე გარდაიცვალა.

სურამის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რათა მან ნება დართოს ქალაქში უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის გახსნისა. ქალაქი ამ თავითვე სასწავლებელს უთმობს ბინას, აძლევს გათბობას, განათებას, მოსამსახურეს; მხოლოდ საჭიროა მთავრობამ მარტო მასწავლებლები დანიშნოს და ჯამაგირი აძლიოს.

განზრახულია ეს სასწავლებელი შემდეგ სამოსწავლო წლიდან გადატანილ იქმნას სურამ-ხაშურის შუა გულში, იმ მოსაზრებით, რომ შენობის აშენებაში ამ სასწავლებლისათვის ორივე ქალაქი მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება შეგირდებს, ეს სასწავლებელი სავსებით დააკმაყოფილებს ორივე ქალაქის მოქალაქეთ და შეგირდებიც საკმაო ეყოლება.

ეს კი ერთი საშუალებათაგანი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ორ ახლო მდებარე ქალაქთა შეერთებას.

სურამის ქალაქის თვითმართველობამ თანახმათ სასკოლო კომისიის დადგენილებისა წინადადება მისცა ადგილობრივ სომხის ორკლასიან სამრევლო სკოლის მასწავლებელთ შეუკეთებლათ სკოლის შენობაში მიმდინარე წელში სწავლა არ დაიწყოს, ვინაიდან შესაძლებელია შენობა დაინგრეს და უბედურება დატრიალდეს. თუ ეს წინადადება შესრულებულ არ იქმნება, ქალაქის თვითმართველობა არავითარ პასუხის გებას არ კისრულობს.

ქალაქის თვითმართველობა მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვში დადგენილების თანახმათ ხსნის საქალაქო დუქანს, რომლისთვის ქალაქს საკმაო სავაჭრო აქვს შეძენილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მხრივ ქალაქი თავის მუშაობას გააფართოვებს.

Calis.

# წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ №№ 194 და 195 ში იყო მოთავსებული წერილები. ჩემი წერილის წინააღმდეგ („ერთობა“ № 184) ფანჩულიძის და ანანიაშვილისა. ის ბრალდებები, რომლებიც იყო წამოყენებული ჩემ წერილში ხსენებულ წერილში ვერ დაარღვიეს. ჩვენ საბუთები გვაქვს ხელში, რომელიც მოწოდებულ იქნება თავის დროზე. რაც შეეხება ანანიაშვილის სურვილს, რომ გაირჩეს საქმე სამედიატორო სასამართლოში, ამას მე დიდი სიამოვნებით ვღებულობ. ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ: ივანე მესხს და მიხეილ რატიანიძეს. წინადადებას ვაძლევ ბ ნ ანანიაშვილს ერთი კვირის ვადაში აირჩიოს თავის მხრივ ორი მედიატორი. ჩვენი დანიშნული მედიატორები აირჩევენ თავმჯდომარეს. სამედიატორო სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადებულ იქნას გაზეთებში.

ხაზინის მოხელე.


**ექიმი ნ. ლ. ტურაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის) [illegible] ყოველ დღე [illegible] მოს 4—[illegible] ბებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**მედ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15 ტელ. 18—03.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტისა
**მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექიმი მ. ფ. მჭედლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—18)

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყ იფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 5?; ეროვნ ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—7[illegible]

# განცხადება

**გზათა სამინისტრო** აცხადებს, რომ სამინისტროსთან დაარსდა

«ბარგთა მიმოზიდვის კომიტეტი საქართველოს რკინის გზებზე»

კომიტეტს, გარდა ტეხნიკურ ფუნქციებისა, ევალება:

1) სატარიფო კითხვების განხილვა,
2) რიგს გარეშე ბარგის გაგზავნის უპირატესობის მინიჭება,
3) დამყარება ბარგის გასაგზავნი წესისა .ვაგონთა განაწილების მიხედვით გამგზავნელთა შორის,
4) ბარგის სასწრაფოთ და შეუჩერებელი გაგზავნის ნებართვის მიცემა და სხვა ასეთი.

კომიტეტში შედიან უწყებათა წარმომადგენლები, აგრეთვე ქალაქის გამგეობის წარმომადგენლები, საბირჟო კომიტეტისა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი და სხვა ორგანიზაციებისა.

დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა ამა თუ იმ ბარგის გაგზავნის საჭიროებისას უნდა მიმართონ „ბარგთა მიმოზიდვის კომიტეტს“ მისამართი: გზათა სამინისტრო, პეტრე დიდის ქუჩა, № 8. (1—1)

# განცხადება

ლანჩხუთის ოთხკლასიან სავაჟო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ

**მისაღები და განმეორებითი გამოცდები**

დაიწყება 20 ენკენისთვიდან.

თავისუფალი ადგილები არის 1 (იგივე 5) და 2 (6) კლასებში.

1 (5) კლასში უეგზამენოთ მიიღებიან უმაღლეს პირველ დაწყებით და აგრეთვე სათანადო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი. დანარჩენნი—გამოცდის შემდეგ.

თხოვნების მიღება გრძელდება. (2—2)

**იანეთის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელს**

თავისუფალია საზოგადო საგნების ორი მასწავლებლის, ხატვა-ხაზვის და გალობის მასწ. ადგილები. თხოვნები გამოიგზავნება იანეთში იანეთის უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლის გამგის სახელობაზე. სასკოლო კომიტეტი. (4—

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.